# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 ნოემბერი, 2013 წელი.

№215 (7343)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## რა ბედი ეწევა პრეზიდენტის სასახლეს? ⑤





## ორხელისუფლებიანობამ მაგრად გვაბუქსავა, რას მოგვიტანს ერთხელისუფლებიანობა? ⑥

## პრეზიდენტმა გვიანდერძა... ④

## „ჩვენ რომ ნაციონალების მიერ დაგეგმილი ქაოსი ვერ ვიგრძენით, ეს ღარიბაშვილის დამსახურებაა“ ③

## „საქართველო რუსეთთან შეხების წერტილის გამოძებნას შეძლებს“ ⑧

## აპოკალიფსი 2050 წელს დადგება?

ჩინეთი მსოფლიოს სთავაზობს. შეზღუდონ... შობადობა!



⑪

## თბილისი – „ყაზტრანსგაზის“ საკონცენტრაციო ბანაკის გაზის უზარმაზარი საკანი? ⑦




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ვითარება

# მთავრობამ, ბიუჯეტს შემოსავლები დააკლდებაო!

**„საქართველოს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი შემოსავლების ნაწილში წელს ვერ შესრულდება“, — ასეთი უცაბედი აღიარების ავტორი ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილია. არადა, მთვარობა ბოლო წუთამდე ირწმუნებოდა, რომ ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება, სეკვესტრი მოსალოდნელი არ არის და საერთოდ, ყველაფერი გენიალურადაა.**

კვირიკაშვილის თქმით, მთავრობა შეეცდება, რომ სოციალური ვალდებულებები მაქსიმალურად დაბალანსებული იყოს.

„კმაყოფილების გრძნობა იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდა 6%-იანი უნდა ყოფილიყო და 2,5%-ია, ბუნებრივია, არავის აქვს. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და, უწინარესად, ეს იყო პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც ქვეყანაში არსებობდა და ოპოზიციის მრავალი დესტრუქციული ქმედება.

იყო ჩვენი მხრიდანაც გარკვეული მიზეზები — საწყის ეტაპზე კოორდინაციის ნაკლებობა, რაც დღეს აბსოლუტურად დაძლეულია. რაც შეეხება იმას, რომ ინვესტიციებში არის 20%-იანი კლება, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება“, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

კარგა ხანია საპარლამენტო ოპოზიცია ბიუჯეტის ჩავარდნაზე საუბრობს. ორიოდე დღის წინ კი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ მელიქიშვილმა კონკრეტული მონაცემებიც წარმოადგინა. იგი თვლის, რომ მთავრობის მიერ გატარებულმა არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გავლენა იქონია ბიუჯეტის შესრულებაზე.

კერძოდ, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლები დაიგეგმა 6,920 მილიარდი ლარის ოდენობით (2012 წელს 6,311 მლრდ ლარი იყო),



რაც ვერ შესრულდება, რადგან 10 თვის მდგომარეობით, წლიური გეგმა შესრულებულია 73%-ით (5,061 მილიარდი ლარი).

**„ორ თვეში 1,859 მილიარდი ლარის გადასახადების კუთხით მობილიზება, საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით, შეუსრულებელი ამოცანაა. გარდა ამისა, დიდი საშიშროებაა, რომ სამინისტრო შარშანდელ მაჩვენებელზეც ვერ გავიდეს, რადგან საშუალოდ დარჩენილ თვეებში 625 მილიონი ლარის მობილიზება, არსებული დინამიკის ფონზე, ძნელად წარმოსადგენია“,** — ამბობს მელიქიშვილი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური კი მშპ-ს ზრდის მხოლოდ 2,5%-იან მაჩვენებელს და გარკვეულ ეკონომიკურ შეფერხებებს ე.წ. კოჰაბიტაციასა და „პრეზიდენტის მხრიდან მუდმივ ხელშეშლას“ უკავშირებს.

**„ჩვენ ველოდით წლის დასაწყისში, რომ ზრდა იქნებოდა 6%-ანი, მაგრამ, სამწუხაროდ, მიმდინარე მოვლენებმა, მათ შორის, პოლიტიკაში არსებულმა პროცესებმა, ე.წ. კოჰაბიტაციამ და სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი - პრეზიდენტის მხრიდან მუდმივად ხელის შეშლამ, ასევე სხვა ფაქტორებმა, რომელთა ნაწილი ობიექტური, ნაწილი კი სუბიექტური იყო, მიგვიყვანა იქამდე, რომ წელს ეკონომიკა 6%-ით ვერ გაიზრდება“,** — განაცხადა ხადურმა.

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნას, რომელშიც საუბარია, რომ სავაჭრო დეფიციტის აღმოსაფხვრელად საქართველოს საგარეო ვალის აღება დასჭირდება, მინისტრი განმარტავს, რომ ქვეყანა ვალს ნამდვილად იღებს, თუმცა მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

**„საქართველო იღებს ვალებს, მაგრამ ეს არ არის ვალი ვალისთვის. ეს არის ვალი, რომელიც გააუმჯობესებს საქართველოს ინფრასტრუქტურას და მომავალში ხელს შეუწყობს უფრო მაღალეკონომიკურ ზრდას“,** — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ბიუჯეტს რომ პრობლემები აქვს, ამას ეკონომიკის ექსპერტებიც ადასტურებენ. აკადემიკოს ავთო სილაგაძის აზრით, ფინანსთა სამინისტრო რთული ამოცანის წინაშე დგას. მისი აზრით, ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილის შესრულება ძალიან რთული იქნება, თუმცა შესაძლებელია, ეს გადაიფაროს სხვა შემოსავლებით და საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდეს.

ექსპერტი პაატა შეშელიძე კი უშუალოდ ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხსაც სვამს. იგი „საქსტატის“ მიერ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გამოქვეყნებასაც ეხმაურება და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში უნდა დადგეს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხი.

**„ახლა ახალი მთავრობა ყალიბდება და ადამიანები, რომლებმაც თავიანთი დაპირებები არ ან ვერ შეასრულეს, ამ მთავრობიდან უნდა გავიდნენ. ვფიქრობ, რომ ეკონომიკური გუნდი საერთოდ გამოსაცვლელია, რადგან ეს იყო ყველაზე სუსტი რგოლი ამ მთავრობაში“,** — აცხადებს შეშელიძე.

**ეკა ბაქრაძე**

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● ოჰ, ეს აგრესიული ლიბერალიზმი, ანუ ყველას სულიც გასძრომია, ვინც ჩვენსავით ნაზი სულის არ არის. ყველა ჩავქოლოთ, ვინც გვეკამათება.

● ბლანჟეიანმა კაცმა დიპლომი მოგთხოვოს, დიდი ადამიანი გახდები!

(ეფრემ ვერდი).

● ეს ცანცარა ხაჩიძე, მარკების ნაცვლად, სხვისი დიპლომების ქსეროასლებს აგროვებს?

● არის თუ არა ეს (ბილეთი) აღიარებითი ჩვენება?

ვანო მერაბიშვილი: „აცეთი შევადნადისდოინდელი პოდიციელი ად გაგვისამათებია ჩადედილი დანადაულისთვის,




დადგან შუდისდიებაზე გაციდებით დიდი საქმეედი გვქოდა გადაგეთებელი“ — ჩვენც გვაპატიეთო, ნუუ!

● ანდერს ბრევიკ — ჩამო, აქ ცოტას მოგცემენ (მერე შეგიწყალებენ, ევროპას არ ვაწყენინოთო).

● მიშამ რო ამ რამდენიმე კვირის წინათ იალბუზზე რუსული დროშა ააფრიალა, მაშინ სად იყო ის ფოთელი „ნაც-ქალბატონი“?

მაგრად მუშაობს „რუსთავი-2“. მაგრად აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს და ამხნევებს ნაცებს.

გაუმარჯოს კოჰაბიტაციას!

● ალ პაჩინომ ეშმაკის ადვოკატი ხო ვიყავი და ჯანდაბას, ზებრასაც გავუწევ ვექილობასო.

● დააკვირდით — ვინც საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის ფარული თუ აშკარა წინააღმდეგია, ყველანი ლიბერასტები — პედერასტების უფლებების დამცველები არიან!

● ხო, მართლა, აქტივისტობა პროფესია არაა.

ხოლო „აქტივისტობა“ თუ ანაზღაურებადია, ეგ აქტივისტობა აღარაა აქტივისტობა ნიშნავს პროფესიული, სამოქალაქო (საზოგადოებრივი) ან პოლიტიკური იდეების უანგარო ერთგულებას და მათ მოქმედებაში გამოხატვას საკუთარი სურვილისამებრ.

ეს ისე, ევროპისკენ და ცივილიზაციისკენ რომ მივდივართ, იმ პონტში.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

გადადგომა

# არჩილ კბილაშვილი პოსტს ტოვებს

**ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა რამდენიმე წუთის წინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.**

**არჩილ კბილაშვილის შემცვლელს პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შედის „პროკურატურის შესახებ„ კანონში ჩადებული მუხლი, რომლის თანახმად, მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.**



— მინდა ვთქვა, რომ არავითარი უთანხმოება ჩემსა და მომავალ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის არ არსებობს. ჩვენ ერთმანეთის გვერდით მოგვიწია მუშაობა ერთი წლის განმავლობაში. ღირსეული და კოლეგიური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. არაერთი დღე და ღამე გაგვიტარებია ერთად დანაშაულთან ბრძოლისთვის. ირაკლი ღირსებითა და წესიერებით სავსე ადამიანია. ჩვენ გვაქვს განსხვავებული შეხედულებები პრიორიტეტებთან და სამართალდაცვით სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით, განაცხადა კვილაშვილმა. პროკურატურაში გატარებული ერთი წელი მრავლის შემცველი იყო. ივანიშვილის წყალობით საშუალება მომეცა, პირველად მემსახურა სახელმწიფო სამსახურში ესოდენ მაღალ თანამდებობაზე. როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლისა და სამოქალაქო სექტორში გადასვლის შესახებ განაცხადა, არაერთხელ მისაუბრია მასთან, რომ ჩემი საადვოკატო და საპროკურორო გამოცდილებით, მასთან ერთად დამეტოვებინა თანამდებობა, გადავსულიყავი სამოქალაქო სექტორში და მხარში ამოვდგომოდი აწ უკვე საზოგადო მოღვაწე ბიძინა ივანიშვილს. პრემიერის გადაწყვეტილება პოსტის დატოვების შესახებ საუკეთესოდ მიმაჩნია, ეს ზნეობრივი ნაბიჯია. ბიძინა ივანიშვილმა ყველაზე რთულ დროს საკუთარი სიცოცხლისა და სხვა პირადი სიკეთის მსხვერპლად გაღების ფასად ქვეყანა განსაცდელისგან იხსნა. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება ვაჟკაცური ნაბიჯია და დემოკრატია ახალ ხარისხში აჰყავს. ივანიშვილის თანამდებობიდან წასვლა რჩება მაგალითად, რომ მისი გუნდის ყველა წევრმა კარგად გააცნობიეროს, ხელისუფლებაში ყოფნა მათთვისაც დროებითია, საზოგადოებას არ მოწყდნენ და საზოგადოების წევრებად დარჩნენ. ინაუგურაციამდე ვრჩები მთავარ პროკურორად, შემდგომ კანონიც იცვლება, მომავალ პრემიერს ექნება უფლება თავად განსაზღვროს ვინ იქნება მთავარი პროკურორი.

ამასთან, მთავარმა პროკურორმა ჟურნალისტების შეკითხვაზე — რა აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მასსა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის, კბილაშვილმა ასე უპასუხა: რეფორმები რომ საჭიროა ყველა ვთანხმდებით, თუმცა განსხვავებული პოზიცია მაქვს დროსთან დაკავშირებით — განაცხადა კბილაშვილმა.

წარდგენა

## 20 წლის დიპლომატიურ ურთიერთობას ფილატელიაც გამოეხმაურა

**საქართველოსა და ლატვიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლის იუბილეს, ქართულ-ლატვიური საფოსტო მარკების დიზაინის პრეზენტაცია მიეძღვნა.** საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალი საფოსტო მარკები ქართველი ხელოვანების — იაგო დეკანოზიშვილის და გია გუგუშვილის და ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით შეიქმნა.

უშუალო შემსრულებლები იყვნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფოსტა და ლატვიის ფოსტა. საიუბილეო მარკები 2014 წელს დაიბეჭდება.

ცერემონია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ლატვიის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. საქართველოსა და ლატვიის პარლამენტთა თავმჯდომარეებმა სიმბოლურად ხელი მოაწერეს ერთობლივ საფოსტო მარკებს.

ინფორმაცია

## სასჯელაღსრულების სამინისტრო ვაკანსიას აცხადებს

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საკოორდინაციო საბჭო განმეორებით აცხადებს ვაკანსიას საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრის კანდიდატურაზე (არაანაზღაურებადი).**

**სამინისტროს ინფორმაციით, კომისიის წევრობის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას.**

**არასამთავრობო ორგანიზაციები ერთმანეთში კონსულტაციებისა და შეთანხმების შედეგად, ვაკანსიის გამოცხადებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, საბჭოში წარადგენენ კანდიდატურას. იმ შემთხვევაში თუ კონსულტაციების შედეგად შეთანხმება ვერ შედგა, არასამთავრობო ორგანიზაციას კანდიდატურის დამოუკიდებლად წარდგენის უფლება ენიჭება.**

**კანდიდატურების წარმოდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით 2013 წლის 12 ნოემბრის 18:00 საათამდე. კანდიდატურის წარმოდგენასთან ერთად წერილობით მიმართვას უნდა ერთვოდეს ორგანიზაციის წესდების ასლი დამოწმებული სახით.**

## სუიციდის პრევენციის პროგრამა ამოქმედდება

**ალნიშნული პროგრამის შემუშავება სასჯელაღსრულების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და სპეციალისტებმა გუშინ დაიწყეს.**



**ევროკავშირის ოფისში სამუშაო შეხვედრის დაწყებამდე სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელება დაწესებულებებში სუიციდის შემთხვევებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.**

**მისი თქმით, ამ დროისათვის დაწესებულებებში არსებული ინფორმაციით, ასამდე პირია, რომელიც ალნიშნული რისკის მატარებელია, თუმცა პროგრამის ამოქმედებისთანავე ყველა პატიმარს ჩაუტარდება შესაბამისი გამოკვლევა და მოხდება მათი კომპლექსური დახმარება.**

**ამასთან, მინისტრის მოადგილის თქმით, ახალი პროგრამის შემუშავებას სავარაუდოდ 10 დღე დასჭირდება, რის შემდეგაც დაიწყება მისი განხორციელება. არჩილ თალაკვაძის ინფორმაციით, პროგრამის მიზანია, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრისთანავე გამოიკვლიოს პირის ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული მდგომარეობა და ამის შემდეგ რისკის მატარებელ პირს სპეციალისტების კომპლექსური დახმარება გაეწიოს.**

ინტერპრესი

შეფასება

# „ჩვენ რომ ნაციონალების მიერ დაგეგმილი ქაოსი ვერ ვიგრძენით, ეს ღარიბაშვილის დამსახურებაა“

**საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა ოფიციალურად 2013 წლის 17 ნოემბრის შემდეგ ეყოლება. სწორედ ამ დღეს გაიმართება ახალარჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია, რის შემდეგაც მოქმედი მთავრობა უფლებამოსილებას მოიხსნის.**

**ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებიდან დაახლოებით ერთ კვირაში თანამდებობის დატოვებას გეგმავს ბიძინა ივანიშვილიც. კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან 24 ნოემბრისთვის უნდა გადადგეს.**

**ამასთან, კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობა უფლებამოსილებას არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე მოიხსნის, ხოლო ნდობის გამოცხადება ახალი კონსტიტუციით დადგენილი წესებით მოხდება. საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი, ქვეყნის პირველი პირი, ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება.**



**როგორ „მემკვიდრეს“ ტოვებს ბიძინა ივანიშვილი, ამ თემაზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო რამაზ, თქვენი შეფასებით, მინისტრობისას რით იყო გამორჩეული ირაკლი ღარიბაშვილი და როგორ ფიქრობთ, რა გაითვალისწინა ბიძინა ივანიშვილმა მის პრემიერად დასახელებისას? ვგულისხმობ რეფორმას ან სხვა წარმატებებს, რაც შინაგან საქმეთა მინისტრობის ერთწლიან პერიოდში მოახერხა...**

— რეფორმასა და ცვლილებებზე სისტემაში ბევრად უფრო ჩახედული ადამიანები, ალბათ, უკეთესად ისაუბრებენ, მე საიმისოდ არ ვიცნობ სისტემას, რომ შევაფასო, მაგრამ ვიცი ერთი რამ: პოლიტიკური ბრძოლის ხაზი ფაქტობრივად, ღარიბაშვილის უწყების ხაზზე გადიოდა.

**— რას გულისხმობთ?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დღემდე ხაზს უსვამენ, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გამწვავდა. მეორე მხრივ, ხელისუფლების უმაღლესი პირი სააკაშვილი ათავისუფლებდა (ეს ფაქტები სულ უფრო ინტენსიური ანალიზის საგანი ხდება) ადამიანებს, რომლებსაც საკმაოდ სერიოზული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. ამ ორ წერტილს თუ შევაერთებთ ერთმანეთთან, სავარაუდო ხდება, რომ ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი სტრატეგია იყო პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა და მერე ამისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება.

ღარიბაშვილის მოღვაწეობას ამ სტრატეგიის ფონზე თუ შევაფასებთ, უდავოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ის ჩვეულებრივი უწყებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი კი არა, ისეთი უწყების ხელმძღვანელი აღმოჩნდა, რომელზეც გადიოდა ძალიან დაუნდობელი პოლიტიკური ფრონტის ხაზი.

ის, რომ ჩვენ, მოქალაქეებმა ვერ ვიგრძენით ნაციონალების მიერ დაგეგმილი და გამიზნული ქაოსი, ეს უდავოდ ღარიბაშვილის დამსახურებაა.

**— თუმცა, მაინც ერთია კონკრეტული უწყების ხელმძღვანელობა, იმის მიუხედავად, რომ შს სამინისტროს უაღრესად სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, ხოლო მეორეა, მთელი ქვეყნის მართვა. გამოავლინა ღარიბაშვილმა ის უნარები, რომ მას ვენდოთ?**

— მაინცდამაინც ნუ ვენდობით. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ხელისუფლებას არ უყვარს ასეთი განცხადებები, არ ვარ მომხრე, რომ მოსახლეობა ხელისუფლებას ენდობოდეს. მოსახლეობა საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, საკუთარი თავი გამოავლინოს, მაგრამ აკონტროლებს კიდეც. ღარიბაშვილი არის ის ფიგურა, რომელსაც შეიძლება მისცე ამ მიმართულებით მოქმედების საშუალება, მაგრამ გააკონტროლოს საზოგადოებამ. იმით კი, რითაც აქამდე იცნობდა ღარიბაშვილს საზოგადოება, ის უნდობლობას ნამდვილად არ იმსახურებს.

**— ანუ, მას აქვს საჭირო პოტენციალი...**

— სამართალდამცავი სტრუქტურა მისთვის საერთოდ უცნობი იყო და მოახერხა სისტემაში ეფექტიანი მუშაობა. პრემიერ-მინისტრობა, რაც გულისხმობს ეკონომიკასაც, საგარეო ურთიერთობებსაც და ა.შ. მისთვის ბევრად უფრო ნაცნობი იქნება პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე და, ალბათ, კიდევ უფრო უკეთესად მოახერხებს.

**— ძალიან ხშირად ისმოდა კითხვა, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, იქნება ის დამოუკიდებელი ფიგურა თუ ბიძინა ივანიშვილის უხილავი ხელის ფუნქციას შეასრულებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა შეიძლება იყოს ღარიბაშვილი?**

— საკითხის დასმა არა სწორად მიმაჩნია — რომელი ხელმწიფის ხელში გაქრისტიანდა საქართველო?

**— მირიანის...**

— მირიანი ირანელი იყო და იმ ქვეყნის სტრატეგიას, გავლენას უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ რაღაც მომენტში მან გადაწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება და მივიღეთ კიდეც დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. როდესაც ფიგურა ამ პოლიტიკურ დონეზე ავა, ნუ დავიწყებთ მარჩიელობას, ის დამორჩილდება თუ არა. რაღაც დონემდე უდავოდ იქნება ბიძინა ივანიშვილისა თუ მისი სხვა პარტნიორების რჩევების გამთვალისწინებელი და ეს კარგია, მაგრამ მერეა, როგორ ჩამოყალიბდება იმისი პოლიტიკური ორიენტაცია და რა გადაწყვეტილებები მომწიფდება მასში, როგორც წამყვან პოლიტიკურ ფიგურაში, ეს, ალბათ, ჯერ არც თვითონ იცის.

**— მნიშვნელოვანია კიდევ ერთი თემა — გვახსოვს საპარლამენტო არჩევნები, შემდეგ —საპრეზიდენტო. ფაქტობრივად, ორივე ბიძინა ივანიშვილმა მოიგო, რადგან კოალიციის მიერ მიღებული ხმები ეკუთვნოდა უშუალოდ მას. ბიძინა ივანიშვილი გადის პოლიტიკური არენიდან, მის პოსტს იკავებს ღარიბაშვილი. თქვენი შეფასებით, აქვს ღარიბაშვილს ის ქარიზმა, რომ ამომრჩეველთა ასეთი ერთსულოვნების მობილიზება მოახერხოს?**

— საპრეზიდენტო არჩევნებში შეგეკამათებით, ეს არ იყო მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ხმები, იმიტომ, რომ საარჩევნო კამპანიის ბოლო ეტაპზე მარგველაშვილმა საკმაოდ ეფექტიანი ნაბიჯები გადადგა, მე პირადად, „რუსთავი-2“-ში მისი გამოსვლის მოწმე ვიყავი, რაც ჩემი აზრით, ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს. ასე რომ, მარგველაშვილსაც „არ ეძინა“ და ეს არ იყო მხოლოდ ივანიშვილის აქტიურობის შედეგი. თუმცა, ორივე ფაქტორი, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია. ანალოგიურად, მგონია, გუნდის თითოეული წევრი და მით უმეტეს ღარიბაშვილი, მოახერხებენ, რომ თავიანთი სიმპათიები მოიპოვონ.

**— რაც შეეხება თავად კოალიციას, არაერთხელ მოგვისმენია პროგნოზები, რომ კოალიციას აერთიანებს ივანიშვილი და მისი წასვლა პოლიტიკიდან გამოიწვევს კოალიციის დაშლას. მოახერხებს, თუ არა ღარიბაშვილი ამ ერთიანობის შენარჩუნებას საჭირო დრომდე, ან საჭიროა თუ არა კოალიცია ერთიანი იყოს, მაგალითად, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე?**

— საპარლამენტო არჩევნებამდე არ ვიცი, მაგრამ ახლა უახლოესი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიები ცალ-ცალკე გამოვიდნენ.

რაც შეეხება ერთიანობას. მათ მხოლოდ ივანიშვილი არ აერთიანებთ და როგორც თვითონ ივანიშვილმაც აღნიშნა, მის გარდა არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი — დამოუკიდებლად ეს პარტიები შეიძლება ამომრჩევლისთვის ნაკლებად საინტერესონი აღმოჩნდნენ. ასე რომ, ამომრჩევლის წინაშე წარდგომისას რეიტინგული სისუსტე შეიძლება იყოს ის გამაერთიანებელი, რაც მათ ერთ გუნდად მაინც შეკრავს.

**— ანუ მოტივაცია აქვთ ივანიშვილის გარეშეც...**

— რა თქმა უნდა, საერთოდ, გინდ ცხოვრებაში, გინდ პოლიტიკაში ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობაში არიან ისინი, ვისაც უჭირთ და არა ისინი, ვისაც ულხინთ.

**— როდესაც ქვეყნის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ეკონომიკური მხარე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოწესრიგებული სასამართლო სისტემის ფონზე. შეიქმნება თუ არა სტაბილურობის შეგრძნება ქვეყანაში, როდესაც უკვე გვეყოლება ქვეყნის მმართველი, რომელიც არსად არ აპირებს წასვლას. იქნება თუ არა ეს პოლიტიკური ცვლილებები საკმარისი მაგალითად, ინვესტორებისათვის, რომ საქართველო მაღალი რისკების ქვეყანად აღარ ჩათვალონ?**

— ღარიბაშვილს შეუძლია ისარგებლოს იმ გამოცდილებით, რაც მას აქვს კომერციულ თუ სხვადასხვა ეკონომიკურ სტრუქტურებში ყოფნით. მას ჰქონდა ასეთი პრაქტიკა, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ მთავარი იქნება არა ღარიბაშვილის გაპრემიერების, არამედ ქვეყნის დაწყნარების, დამშვიდების ფაქტორიც. ის ფაქტორი, რომ ქვეყანა უკვე რაღაც ერთმნიშვნელიან პარამეტრზე დადგა და ღარიბაშვილი ამ კონტექსტში ფიგურირებს არა როგორც პიროვნება, არამედ, როგორც გუნდის წევრი. ამდენად, სტაბილურობის გარანტია უფრო მეტი იქნება. ეკონომიკური მოქმედებების სტაბილურობის გარანტია, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც მარგველაშვილის არჩევის შემთხვევაშიც, რომელიც იგივე გუნდის წევრია, ალბათ, მეტი იქნება.

**— ქვეყანას მართავს ახალი პრემიერი, პრეზიდენტი და უკვე ერთწლიანი გამოცდილების მქონე პარლამენტის თავმჯდომარე. თქვენი შეფასებით, ამჯერად როგორი მმართველი სამეული მივიღეთ, რამდენად გააკონტროლებენ და დააბალანსებენ ერთმანეთს?**

— საინტერესო სამეულია - საინტერესო ყველა გაგებით. მარგველაშვილი ახალი ფიგურაა, მაგრამ უდავოდ სამოქალაქო ტიპის, ის არ შემოსულა პოლიტიკაში ინტრიგების გრძელი გზით, ის მოვიდა სამოქალაქო სექტორიდან. არც ღარიბაშვილი მოსულა პოლიტიკაში ინტრიგების გრძელი გზით, ის მოვიდა ამ შემთხვევაში ეკონომიკური სექტორიდან. ეს ორი ფიგურა უდავოდ იქნება ჰარმონიული. უსუფაშვილი, უბრალოდ, დაბადებულია პარლამენტის თავმჯდომარედ და იმ ფუნქციის შესასრულებლად, რომელსაც ის ასრულებს და არ მგონია, რომელიმე მათგანს მოუნდეს საკუთარი მოქმედების არეალის ფარგლებიდან გასვლა, რომელიც გამოიწვევს სახელმწიფოში დესტაბილიზაციას.

**— რა შეცდომები ჰქონდა თქვენი შეფასებით ბიძინა ივანიშვილს, რომელიც არ უნდა გაიმეოროს ღარიბაშვილმა?**

— ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა თავისთავად, ძალზე საინტერესოა და, ალბათ, მომავალში, წყნარ განწყობილებაზე უფრო მეტი ითქმება... მგონია, რომ მისი შეცდომები ძირითადად, უკავშირდება უტაქტობას საზოგადოების ამა თუ იმ წარმომადგენლების მიმართ და ვფიქრობ, ეს არც ერთმა ხელისუფალმა არ უნდა გაიმეოროს.

**— ზედმეტად ფამილარულ გამონათქვამებს გულისხმობთ მედიის, ექსპერტების და ა.შ. მიმართ?**

— ყოველ შემთხვევაში, ჭკუის სწავლება გინდ ერთის, გინდ მეორის ან მესამისთვის და საჯარო კორეგირება მედიიდან, არ იყო პოლიტიკოსის საუკეთესო გადაწყვეტილება.

**— და ბოლოს, ივანიშვილის საუკეთესო გადაწყვეტილებათა სიაში თუ შეიყვანთ გადაწყვეტილებას ღაიბაშვილის პრემიერად დასახელების შესახებ?**

— უდავოდ.

**ლალი ზირაქიშვილი**

პროგნოზი

# შეცვლის ღარიბაშვილი მთავრობას ძირეულად?

**მინისტრთა კაბინეტში, შესაძლოა, რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდეს. მთავრობის ფორმირების პროცესში მოსალოდნელ ცვლილებებზე ჯერჯერობით მომავალი პრემიერ-მინისტრი არ საუბრობს. დატოვებს თუ გააახლებს მინისტრთა კაბინეტს, ეს უკვე პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გახდება ცნობილი. თავად მოქმედი მინისტრები ირწმუნებიან, რომ ახალ მინისტრთა კაბინეტში აუცილებლად მოხვდებიან. იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილის მთავრობაში ერთ-ერთ წარუმატებელ სამინისტროდ საგარეო საქმეთა სამინისტრო სახელდება, მინისტრი ამბობს, რომ ის თავისი მუშაობით კმაყოფილია და თვლის, რომ მომავალ მინისტრთა კაბინეტშიც გააგრძელებს მუშაობას.**

პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი არმაზ ახვლედიანი ამბობს, რომ მომავალი სამთავრობო ცვლილებები, ზოგადად საკადრო პოლიტიკა პარტიაში განიხილება.

**„არ ველოდებით მთავრობაში ძირეულ ცვლილებებს. როგორც მოქმედმა პრემიერმა განაცხადა და მომავალმაც დაადასტურა, ამის აუცილებლობას ვერავინ ხედავს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდეს. ამაში უჩვეულო არაფერი იქნება, როდესაც იცვლება პრემიერი, შესაძლებელია, შეიცვალოს მთავრობის შემადგენლობა ნაწილობრივ, ან სრულადაც. მინისტრების შეცვლასთან დაკავშირებით მსჯელობა მიმდინარეობს“,** — განაცხადა არმაზ ახვლედიანმა.

ყველაზე მეტი კითხვა თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას გარშემო ჩნდება. მით უმეტეს, აქტიურად ვრცელდება ინფრომაცია, რომ თავდაცვის მინისტრის სავარძელს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი უმიზნებს, თუმცა, თავად ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შეცვლა არ იგეგმება. მისი თქმით, ისეთი სამთავრობო ცვლილებები, რომელიც მმართველ კოალიციაში ცვლილებებს გამოიწვევდა, დაგეგმილი არ არის.

**„მომავალ პრემიერს შეუძლია, თავდაცვის მინისტრიც შეცვალოს, თუმცა ამაზე საუბარი არ არის და ეს მოსალოდნელი არ არის. საიდან ვიცი, რომ მოსალოდნელი არ არის? როდესაც ივანიშვილმა უმრავლესობას ღარიბაშვილი წარუდგინა, პირველი სიტყვა, რომელიც ღარიბაშვილმა თქვა იყო, რომ მე კოალიციას ზიანს არ მივაყენებ და კოალიციის წინააღმდეგ არ ვიმოქმედებ. ყველას შესანიშნავად ესმის, ირაკლი ალასანიას შეცვლის შემთხვევაში რა მოხდებოდა“,** — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

იხ. 4 გვ.

პროგნოზი

# შეცვლის ღარიბაშვილი მთავრობას ძირეულად?

(მესამე გვერდიდან)

**„მეჩვენება, რომ ჩემი საქმით დახმარება ქვეყანას სჭირდება“,** — ამბობს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომლის განცხადებით, თუ ამგვარი სურვილი მომავალ პრემიერსაც ექნება, ის მზად არის, მას იმ დიდ საქმეში დაეხმაროს, რომელსაც ევროპასთან მიახლოება ჰქვია.

ამასთან, იუსტიციის მინისტრის განმარტებით, მთავრობის ახალ შემადგენლობასთან დაკავშირებით, მომავალ პრემიერ-მინისტრს მათთან ინდივიდუალური კონსულტაციები ჯერ არ დაუწყია.

**„მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ მომავალ პრემიერ-მინისტრს ინდივიდუალური კონსულტაციები ჯერ არ დაუწყია. ჩვენ მას უნდა მივცეთ დრო, რადგან მას აკისრია ძალიან დიდი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. მან უნდა მიიყვანოს ევროპამდე ეს ქვეყანა. აქედან გამომდინარე, მანვე უნდა შეარჩიოს ის გუნდი, რომელიც ამის საშუალებას მისცემს. აქედან გამომდინარე, მთლიანად მომავალ პრემიერ-მინისტრზეა დამოკიდებული, ვის ჩარიცხავს ის საკუთარ გუნდში.**

**მას სჭირდება დრო. ეს დრო ბევრი არ არის, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ მან თავისი გუნდი დააკომპლექტოს. რაც შემეხება მე, მეჩვენება, რომ ჩემი საქმით დახმარება ქვეყანას სჭირდება. თუ ამგვარი სურვილი ექნება მომავალ პრემიერ-მინისტრს, მე მზად ვარ, რომ მას დავეხმარო იმ დიდ საქმეში, რომელსაც ევროპასთან დაახლოება ჰქვია“,** — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას თეა წულუკიანმა.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ფიქრობს, რომ ის საქმიანობას მომავალ მინისტრთა კაბინეტშიც გააგრძელებს. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მთავრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით ჯერ კონსულტაციები არ დაწყებულა.

**„კონსულტაციები და კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა. ჯერ რამდენიმე დღე გავიდა, რაც ახალი პრემიერობის კანდიდატი დასახელდა და მას აქვს საკმარისი დრო იმისათვის, რომ დაჯდეს, გააანალიზოს ყველაფერი, გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაციები მინისტრთა კაბინეტის წევრებთან და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოყალიბდება საბოლოო პოზიცია.**

**ჯერჯერობით ჩვეულებრივი ტემპით ვაგრძელებთ მუშაობას. მეც ველოდები, რომ გავაგრძელებ საქმიანობას, გამომდინარე იქიდან, რომ არსებითი ჩავარდნები ჩვენს სამინისტრო სისტემაში არ ყოფილა და ძალიან ბევრი პროგრესული რამ განვახორციელეთ, რაც მაძლევს იმის თქმით საშუალებას, რომ, ალბათ, საქმიანობას გავაგრძელებ“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება მოსალოდნელ საკადრო ცვლილებას, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ქართულ პოლიტიკას გაახალგაზრდავება სჭირდება.

**„ჩვენ შევეჩვიეთ მსჯელობას ცვლილებაზე ისე, რომ არ ვხსნით იმ ფრჩხილებს, რომელშიც ცვლილებების აუცილებლობაზე უნდა იყოს მსჯელობა. კერძოდ, ცვლილება აუცილებელია მაშინ, როდესაც პოლიტიკურ კურსს არ შეესაბამება ადამიანი, ამ პოლიტიკურ კურსზე ჩამოყალიბებული კონცეფცია კი არასოდეს არ გვაქვს ხოლმე და ამიტომ ვლაპარაკობთ მხოლოდ ადამიანების ცვლილებაზე.**

**სანამ პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური კურსი არ გახდება მსჯელობის საგანი და მით უმეტეს, თუ ეს კურსი არ იქნა საკმაოდ კონკრეტული თითოეული მიმართულებით, ძნელი იქნება იმის თქმა, აი ამ კურსის განმხორციელებელი ერთი მინისტრი ივარგებს, თუ მეორე. ეს უნდა გავარკვიოთ ჯერ. ისე, ცვლილება ცვლილებისთვის, ალბათ, გაუმართლებელი იქნება“,** — ამბობს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტ კახი კახიშვილის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილის მოქმედების სტილის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნა, რომ პირველ ეტაპზე, ვერ შეცვლის მინისტრთა კაბინეტს.

**„ვაკვირდებოდი როგორ ახორციელებდა საკადრო გადაადგილებას ის შსს-ში, ძალიან ფრთხილად გააკეთა ეს. ერთი ხელის მოსმით მთელი შსს-ს არ შეცვალა, მაგრამ დაიწყო ეტაპობრივი ჩანაცვლებები. ალბათ, აქაც ასე გააკეთებს. მე არ ვფიქრობ, რომ ძირეული საკადრო ცვლილება არის მოსალოდნელი მინისტრთა კაბინეტში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყველას ძალიან კარგად ესმის კოალიციის როლი, ეს კოალიცია რომ ხელოვნურ ერთიანობაშია, ეს ფაქტია. ამ ხელოვნური ერთიანობის გარანტი იყო ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილი მიდის და, ბუნებრივია, რომ კოალიციაში საკუთარი ინტერესებია.**

**ახლა თუ კოალიციას კიდევ დაემატა ის პრობლემა, რომ კონკრეტული კოალიციის ლიდერები უთანამდებობოდ დარჩნენ, ბუნებრივია, ეს გარკვეულ ძვრებს გამოიწვევს. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ პირველ ეტაპზე, ძირეული ცვლილება მინისტრთა კაბინეტში არ იქნება. ფაქტია, რომ იცვლება შს მინისტრი და მაქსიმუმ, კიდევ ერთი მინისტრი თუ შეიცვალა, ვინც თვითონ აცხადებს უარს ღარიბაშვილთან მუშაობაზე. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მჯერა რომელიმე მინისტრს მინისტრობიდან წასვლის სურვილი გაუჩნდეს. ძირეულ ცვლილებას ახალი წლის შემდეგ ველოდები“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას კახი კახიშვილმა.

**ცოტნე დგებუაძე**

რა გვქონდა, რა გვაქვს...

# პრეზიდენტმა გვიანდერძა...

მიდიოდა რა პრეზიდენტის თანამდებობიდან, მიხეილ სააკაშვილმა გვიანდერძა: **არასოდეს არ ვთქვათ უარი ნატოსა და ევროგაერთიანებებში ინტეგრაციაზე.**

მე და ჩემი მეგობრები ვფიცავთ, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ბატონი მიხეილის ანდერძის შესასრულებლად, მაგრამ... ანდერძი მაინც ვერ შესრულდება.

რატომ?

უპირველესად იმიტომ, რომ თვით ამერიკაშიც გავრცელებული ყოფილა შეგონება — „არასოდეს არ უნდა ვთქვათ — არასოდეს“.

ეს შეგონება რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მედვედევმა გაახმოვანა ამერიკაში ვიზიტის დროს.

ბატონ სააკაშვილზე უკეთ ამერიკის ცხოვრების წესი, იქ გავრცელებული შეგონებები რატომ უნდა იცოდეს რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა? ბატონმა მიხეილმა ხომ ამერიკაში დაამთავრა უნივერსიტეტი ინგლისურ ენაზე და დღესაც ხომ ჰყავს იმ ქვეყანაში ნაცნობები და მხარდამჭერები?

მგონი, ისევ გვატყუებს ბატონი მიხეილი და ამერიკასაც „აგდებს“, ან ამერიკაში ვერანაირი გამოსაყენებელი განათლება ვერ მიუღია.

ანდერძი ვერ შესრულდება იმიტომაც, რომ ნატოში ინტეგრაციაზე სულ სხვას ლაპარაკობდა ბატონი სააკაშვილი „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტ ნინო შუბლაძესთან ინტერვიუში.

ამ ინტერვიუში ნათქვამია, რომ მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტს ბატონ პუტინს უთხრა: **„ჩვენ მზად ვართ ნატოზე უარიც კი ვთქვათ, ჩვენ ხელშეკრულებით ვართ მზად, თუ თქვენ დაგვეხმარებით ტერიტორიებზე, პროგრესზე, ოღონდ ის ხელშეკრულებით დავაფიქსიროთ“.**

არ გინდა იყო იმ ქვეყნის მოქალაქე, რომლის პრეზიდენტიც ასე პრიმიტიულად და უწიგნურად სვამს ასეთ მნიშვნელოვან საკითხს? რა გამოდის? ე. ი. ჩვენი ნატოში შესვლა რუსეთის შესაშინებლად გამოიყენება, როგორც მეზობლის შესაშინებლად გამოიყენეს მოსამართლე „ბაკულას ღორებში“.

ალბათ, ის პოლიტიკური ელიტაც, რომელიც ბატონმა შევარდნაძემ დააფრთიანა, სააკაშვილის მსგავსად სვამს საკითხებს, როცა სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებს ხვდება.

გავყვეთ ინტერვიუს: **„ჩვენ ვუთხარით, რომ მაშინ მზად ვართ, ნატოზე ვთქვათ უარი, ვადასტურებ, რომ ასე ვუთხარი. ამაზე პუტინი არც დაფიქრებულა, შემოგვხედა, გაიღიმა და თქვა: ბიჭებო, ჩვენ თქვენს ტერიტორიებს თქვენს გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე არ ვცვლით, რაც იმას ნიშნავდა, ტერიტორიებს ისედაც წაგართმევთო“.**

ხედავთ სად „მოხვდა“ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი?

სააკაშვილთან ერთად დელეგაციის სხვა წევრებიც, ალბათ, ვერ მიხვდნენ ვისი მიახლოებითი ციტირება მოახდინა რუსეთის პრეზიდენტმა, რაც დიდი უბედურება არ არის. უბედურებაა, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებიდან გამომდინარე აკეთებ დასკვნას „ტერიტორიებს ისედაც წაგართმევთო“.

საინტერესოა, რუსეთის პრეზიდენტმა როგორ მიმართა ჩვენს დელეგაციას. „ბიჭებო“ რომ წარმოეთქვა სიტყვით „მალჩიშკი“, მე და ჩემი მეგობრები ასეთ მიმართვას სამართლიანად ჩავთვლიდით.

ეს ინტერვიუ მოისმინეს ან წაიკითხეს ნაცმოძრაობის საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებმა? ისინი დღესაც ლაპარაკს არ აცლიან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს.

მიდიოდა რა პრეზიდენტის თანამდებობიდან, მიხეილ სააკაშვილმა გვიანდერძა: — **„კარგად გავიხსენოთ, როგორი ქვეყანა ჩავიბარეთ, რომ იყო სიბნელე, დაბალი პენსიები, რათა მივხვდეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ დღეს უკეთესად ვცხოვრობთ, ვიდრე ათი წლის წინათ“.**

მე და ჩემი მეგობრები ვფიცავთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა კარგად გავიხსენოთ, როგორ ვცხოვრობდით ათი წლის წინათ და როგორ ვცხოვრობთ დღეს.

კარგად გვახსოვს, რომ ქვეყანაში, უპირველესად თბილისში, დაწყებული იყო გამრიცხველიანება. ამერიკულმა კომპანიამ მოახდინა თბილისის მთლიანი გამრიცხველიანება, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკოსებმა ის კომპანია ქვეყნიდან გააგდეს. რაიონები და სოფლები დღესაც არ არის გამრიცხველიანებული. გვახსოვს, რომ გამრიცხველიანებამდე ვიხდიდით ორჯერ მეტს, ვიდრე გამრიცხველიანების შემდეგ.

რა მოხდებოდა, რომ ბატონ მიხეილ სააკაშვილს დაეწყო გამრიცხველიანება? აუჰ... ღმერთმა დაგვიფარა. დღეს, ალბათ, ელექტროენერგია მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს ექნებოდათ.

პენსია იყო დაბალი, მაგრამ ერთჯერადი დახმარება ეძლეოდა ძალიან ბევრს.

ფასები სასოფლო პროდუქტზე იყო ძალიან დაბალი.

ძალიან ცოტა იყო მათხოვართა რაოდენობა ქალაქ თბილისში.

მაინც რა ამბავია ამდენი მათხოვარი ქალაქში? ზოგს ხელი აქვს გაშვერილი ლუკმაპურისთვის, ზოგი პატარა მიშიკოსა თუ ვასიკოსათვის ითხოვს, მათთვის უცხოეთში ოპერაციის გასაკეთებლად, ჯანდაცვაში ჩადებული დიდი ოდენობის სახსრებიდან კი უკუგება არა და არ ჩანს.

ათი წლის წინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგა. საერთოდ, ჩვენი ქვეყანა არ უნდა ჩამდგარიყო განვითარებადი ქვეყნების რიგში. 25 წლის წინათ ჩვენ უკვე ვიყავით განვითარებული სახელმწიფო, მაგრამ მაშინ დაწყებული ნგრევა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ლამის სახელმწიფოს დაშლამდე მიიყვანა.

დღეს ჩვენი საგარეო ვალი, როგორც პრესა აცხადებს, მშთ-ს 80 პროცენტს შეადგენს. უცხოეთის ბანკები სესხსა თუ ინვესტიციას აღარ უნდა გვაძლევდეს (ფარდობა 60 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოსო).

ესეც ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი!

მიხეილ სააკაშვილს ანდერძში მაინც ხომ უნდა გამოემჟღავნებინა სულ უმნიშვნელო პატრიოტიზმი, თუ იგი მას აქვს. ჩათვლის მას ქვეყანა პატრიოტ კაცად?

**ნუგზარ კოზახიძე**

ალიან-ჩალიანი

## მანქანაში შუქგამტარობის შემზღუდავი ყველა საშუალების გამოყენება იკრძალება

**მძღოლებს, სატრანსპორტო საშუალების მინების დამუქებასთან ერთად, მანქანებში შუქგამტარობის სხვა ფორმით შეზღუდვაც აეკრძალებათ. ამას „ადმინისტაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს უკვე წარუდგინა.**

**მოქმედი კანონის გათვალისწინებით, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები საპატრულო პოლიციის თანხმობის გარეშეა დამუქებული, მძღოლის 50 ლარის ოდენობით დაჯარიმებას იწვევს.**

**პროექტის თანახმად კი, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამის მუხლს ემატება ასეთი ჩანაწერი — „ან რომლის მინების შუქგამტარობა სხვაგვარად არის შეზღუდული“.**

**როგორც ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, ცვლილებების მომზადება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ მინების შუქგამტარობის სხვადასხვა ფორმით, მაგალითად „ფარდებით“ შეზღუდვა, საგზაო მოძრაობისას გარკვეულ სირთულეებს ქმნის და ავტოსაგზაო შემთხვევების მომეტებულ საფრთხეს შეიცავს.**

**მინების დამუქების გამო ერთხელ დაჯარიმებული მძღოლი, ქმედების წლის განმავლობაში განმეორების გამო, 100 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, ხოლო მესამე და ყოველი მომდევნო შემთხვევაში ექვსი თვით მართვის უფლება შეუჩერდება.**

**ინტერპრესი**

# რა ბედი ეწევა პრეზიდენტის სასახლეს?



**პარადოქსებით აღსავსე ქვეყანაა საქართველო. შია, მაგრამ თავდავიწყებით კამათობს პირველ „ლედობაზე“; უჭირს, მაგრამ ფიქრობს არჩეული პრეზიდენტის რეზიდენციაზე; ცივა და სწყურია, მაგრამ თავით ფეხებამდეა გადაშვებული პრეზიდენტის ინაუგურაციის პერიპეტიებში. ჩამოთვლილი „სამოქალაქო“ პოზიციის დაფიქსირებაში საზოგადოების გვერდში დგას ქვეყნის მედია. მისი დამსახურება ხალხის „განათლებაში“ — ფასდაუდებელია, ისე, როგორც მიმავალი მესამე პრეზიდენტის — მისი საქმენი საგმირონი, მომავალშიც არაერთხელ შეგვახსენებს თავს.**

**ინაუგურაციამდე საკმაო დროა დარჩენილი საზოგადოების დამსახურებულ-დაუმსახურებელი ნაწილისთვის ქვეყნის უმაღლესი ორდენით დასაჯილდოებლად, დამნაშავეთა შესაწყალებლად, უცხოელთათვის მოქალაქეობის მისაცემად, უცხოეთში რამდენიმე ვოიაჟის განსახორციელებლად და ა.შ. მიმავალი პრეზიდენტისგან — მისი გაქანებიდან, უფრო სწორად, შექანებიდან გამომდინარე, რას არ უნდა მოელოდეს კაცი.**

ხანგრძლივი გამოდგა პრეზიდენტთან გამოთხოვების ჟამი. თითქმის ერთი წელიწადი ვეთხოვებით და ვერაფრით ვეღირსეთ წასულ, ყოფილ პრეზიდენტს. დღე ისე არ ჩაივლის მიმავალმა ახალი სიურპრიზებით არ „გაგვახაროს“. განა „გასახარი“ არ იყო ბრიუსელში ევროკავშირის ხელმძღვანელ ბაროზუსთან მივარდნა ან საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ სარკოზისთან ჩახუტება?

ძალიან „გაგვახარა“ სააკაშვილის მიერ სარკოზის დახასიათებამ და იმის აღნიშვნამ, რომ სარკოზი წასული პრეზიდენტიც არის და მომავალიც, რითაც ხაზგასმით მიგვანიშნა საკუთარი პერსონის პოლიტიკურ მომავალზე. მარტო ამ მინიშნებისთვის ღირდა პარიზში ჩაფრენა.

სააკაშვილი უკვე მერამდენედ გვეუბნება, რომ აუცილებლად დაგვიბრუნდება. ზოგს მისი განცხადება სისულელე, აუსრულებელი ოცნება ჰგონია, მაგრამ ვინ იცის? ჯერჯერობით რაც დაგვპირდა, შეასრულა და არც მომავალში შეირცხვენს თავს. შეგვისრულა ის, რაც მას უნდოდა და არა ის, რაც ჩვენ, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ხომ შეასრულა?

სააკაშვილი მიდის და იწყალებს ბაჩანა ახალაიას. საზოგადოება ელის, რომ ჯერაც სამსჯავროს მიერ გამოუტანელ დანაშაულისთვის შეიწყალებს სააკაშვილი ახალაიას, შესაძლოა, მერაბიშვილსაც. **გაუკვირდება ვინმეს, რომ თქვას — მომავალში, ნაციონალებიდან, ვისაც სამართალში მისცემენ, ყველას წინასწარ ვიწყალებო?**

**არ გაგვიკვირდება, ვინაიდან მსგავს „ფოკუსებს“ სააკაშვილმა შეგვაჩვია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქართულ „დიდ“ პოლიტიკაში ავანსად „საქმის“ მოგვარების საკითხი ახალ მნიშვნელობას იძენს.**

თითქმის წასული პრემიერ-მინისტრი გვპირდება, რომ თბილისის მომავალი მერის ვინაობასაც დაასახელებს — ისე, უბრალოდ, საკუთარი სურვილისამებრ და არა თავსმოხვევის მიზნით. თავმდაბლური, მორიდებული განცხადებაა. მას საერთო არაფერი აქვს ბრძანებასთან. არ გინდათ და ნუ აირჩევთ. მაგრამ დედიშენის შვილი ხარ და ნუ აირჩევ. საქართველო ისეა აწყობილი, რომ მიმავალი პრემიერის „მორიდებული“ ნათქვამიც სავალდებულოდ აღიქმება.

ამას წინათ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ივანიშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოს ორი დიდი პოლიტიკოსი დატოვებს თანამდებობას, რაც, ცხადია, სინამდვილეს შეესაბამება. ორივე — მიდის პოლიტიკური სარბიელიდან, თუმცა არც ერთი მათგანი არსად არ მიდის.

მართალი იყო ივანიშვილი, როდესაც მისი წასვლით დამწუხრებულ საზოგადოებას ეფიცებოდა — არსად არ მივდივარ — გადავდივარო. გარეთ ვიქნები, საზოგადოებრივ სექტორში — თან ხალხს გავზრდი, თან ცალი თვალით ხელისუფლებას ვუყურებ და თუ არ მომეწონება, აუცილებლად ვიტყვიო. იტყვის და ეს თქმა მის მიერ დანიშნული ყმაწვილებისთვის ბრძანების ტოლფასი იქნება.

ძნელად შეიძლება მსოფლიოში მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც ისე აეწყოს (ცხადია, თავის თავზე) საქვეყნო საქმე, როგორც ივანიშვილმა ააწყო. პარლამენტის უმრავლესობა, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, მინისტრები, დაბალ-მაღალი თანამდებობების პირები მის დაქვემდებარებაშია და საკმარისი იქნება მინის კოშკში (ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრში) დაბალ ხმაზე ჩალაპარაკება, მეორე დღესვე ნათქვამი კანონად გამოცხვება.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ახალ — კულისებიდან მართვის ფაზაში შედის, თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ დიდი ფულის პატრონი ივანიშვილი არასამთავრობო სექტორს ფულური გავლენით მიიმხრობს — არასამთავროები, აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები მის კონტროლქვეშ აღმოჩნდებიან. განა რამე სჯობს ამას?!

**საქართველო ისეთ ფაზაში შედის, როდესაც პირველ „ლედობას“ ერთი პირი წყვეტს. მან თქვა, რომ პირველი „ლედი“ პრემიერის ცოლი იქნება. და რახან მან თქვა — წყალი არ გაუვა. მერე რა, რომ პრეზიდენტის ცოლი ითვლება პირველ „ლედად“ მთელს მსოფლიოში? მერე რა, რომ პრეზიდენტი დებს ფიცს ერის წინაშე, პრემიერი კი პარლამენტის მიერ აირჩევა? მერე რა, რომ პრემიერი ერთ საპრეზიდენტო ვადაში არაერთხელ შეიძლება შეიცვალოს?**

ისე, კაცმა რომ თქვას, რას აძლევს საქართველოს ვიღაცის პირველი „ლედობა“? არც არაფერს, გარდა პირველი „ლედის“ „კაპრიზებისა“. ღირს ამ თემაზე ამდენი ლაპარაკი? ღირს! ვინაიდან მთავარია საზოგადოების გაჭირვებული ცხოვრების, ყოველდღიური პრობლემების სხვა „სალაღობო“ თემებით გადაფარვა, რასაც მოჭარბებული გულმოდგინებით ასრულებს მედია. ერთი კვირაა ბეჭდური თუ ელექტრონული მედია გულმოდგინებით არჩევს საქართველოსთვის ამ უაღრესად „მნიშვნელოვან“ საკითხს.

არანაკლები ყურადღება ეთმობა ინაუგურაციის თემასაც და ამ თემაზე საგარეო საქმეთა მინისტრთან ჩატარებულ სხდომებსაც, შემდეგ მინისტრის განმარტებას — თუ სად დადებს ფიცს ახალი პრეზიდენტი, სად აპირებს მისვლას, სად გაიმართება კონცერტი და ა.შ. მინისტრი იმასაც გვპირდება, რომ მომავალი ინაუგურაცია ისეთი პომპეზური არ იქნება, როგორც სააკაშვილის დროს. დიდი ფულის დახარჯვას ვერიდებითო, ამბობს „მომჭირნე“ მთავრობის, „მომჭირნე“ მინისტრი.

მოკრძალებულია ახალი პრეზიდენტიც - მე ათონელის ქუჩაზე დავიდებ ბინას, - ამბობს ის და უარს აცხადებს პრეზიდენტის სასახლეში შესვლაზე. თუმცა, ეს საკითხი ერთი წლის წინათ გადაწყვიტა ყოვლისშემძლე ივანიშვილმა. გახსოვთ, ალბათ, მისი ნათქვამი — ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტს ასეთი სასახლე არ ეკადრებაო და უმალ დაუმატა, რომ იფიქრებს მისი სხვა დანიშნულებისთვის გამოსაყენებლად. ამ განცხადების შემდეგ არჩეული პრეზიდენტი გაბედავდა სასახლისკენ გახედვას?!

„ოცნებელთა“ ქმედებასა და განსაკუთრებით განცხადებებში თვალშისაცემია „საშური ერთსულოვნება“, უფრო ზუსტად ერთნაირი მეტყველება. საკმარისია ივანიშვილის მიერ რაღაცის თქმა და იმავე წუთს მისი გუნდის მხრიდან კაჭკაჭური გამეორება — იგივე სიტყვებით, ოღონდ მომეტებული პათოსით. ასე და ამრიგად ხიდაშელმა, შეეხო რა პრეზიდენტის რეზიდენციის საკითხს, თქვა, რომ მოპარული ფულით ანუ უფრო ზუსტად, შეწერილით, აშენებულ სასახლეში შესვლა არ ეკადრება პრეზიდენტს და იქვე დაუმატა, რომ იქ სასწავლო დაწესებულება დაიდებს ბინასო.

**კაცმა რომ თქვას, თუ პრეზიდენტისთვის არ შეიძლება „ბილწ“ შენობაში ყოფნა, მით უმეტეს არ შეიძლება ქართულ-ამერიკული ინსტიტუტისთვის. ხიდაშელის გადასაწყვეტი რომ იყოს, შენობას ალბათ დაანგრევინებდა.**

პარლამენტის „ფერსტ ლედის“ ნათქვამმა უმალ გამახსენა 1991-92 წლების თბილისის ომის „გმირი“ გენერლების განცხადება, რომელიც მათ ომის დამთავრებისთანავე გააკეთეს. ეს შენობა (მხედველობაში ჰქონდათ პარლამენტის შენობა) უნდა დაინგრეს, ვინაიდან სატანის ბუდე იყოო. სატანა, მათი აზრით, პრეზიდენტი გამსახურდია იყო.

შენობის დანგრევის თემას ისიც ამყარებდა, რომ ის ძველი ეკლესიის ადგილზე იყო აშენებული, ქართველ პატრიოტთა ძვლებზე. ეს, რაც შეეხება შენობის უკანა ნაწილს - მეორე მსოფლიო ომამდე აშენებულს. რაც შეეხება შენობის იმ ნაწილს, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე გამოდის, ომის შემდეგ აშენდა გერმანელი ტყვეების მიერ და მისი ჰარიჰარად დანგრევა არცთუ იოლი საქმე იყო.

არჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა — შენობა ხალხს უნდა დაუბრუნდესო. მაინც რაოდენ ამაღლებულად არის ნათქვამი, ჰოდა თუ იოტისოდენა ჭეშმარიტებაა ამ განცხადებაში ჩაქსოვილი, იქნებ „სტუდქალაქის“ „ბარაკებში“ მცხოვრები ლტოლვილებისთვის მიგვეცა პრეზიდენტის სასახლე? ვერ შეიფერებენ თუ რა?

**ჩვენდა სამწუხაროდ, მძიმე სენი შეგვეყარა — არასასურველი პოლიტიკოსისთვის შესაბამისი ანგარიშსწორების განუხორციელებლობის გამო, ჯავრს იმ შენობაზე ვიყრით, სადაც ის მუშაობდა.**

**პრეზიდენტის სასახლე — სახეა ქვეყნისა, ისე, როგორც დროშა, ჰიმნი, გერბი. მას თვალის ჩინივით ესაჭიროება გაფრთხილება.** გაჭირვებულ ქვეყანას პრეზიდენტის შესაფერისი სასახლე უნდა ჰქონდეს, მაგრამ ყოველთვის ხომ არ ვიქნებით გაჭირვებულები? იქნებ ოდესმე დადგეს ისეთი ცხოვრება, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით პრეზიდენტის სასახლის სადარი იქნება?!

**სააკაშვილმა ააშენა სასახლე. მას სურდა, დიდხანს ყოფილიყო იქ, მაგრამ მიხვდა, რომ მიზეზთა გამო იქ ვერ დარჩებოდა — პრემიერობა ისურვა, მოირგო რა კონსტიტუცია და პრემიერის მომავალი რეზიდენცია ათონელის ქუჩაზე.**

**სააკაშვილმა ააშენა პრეზიდენტის სასახლე, რითაც მოხსნა დიდი პრობლემა პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა დამოუკიდებლად ცხოვრების პირველივე დღიდან წარმოიშვა, მაგრამ გადაიჭრა სააკაშვილის თუნდაც ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით.**

**საქართველოს აქვს პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მუშაობისთვის საჭირო წარმომადგენლობითი შენობა, რომელიც გათვლილია პრეზიდენტის პროტოკოლურ ფუნქციებზე, ისეთზე, როგორებიცაა — საზღვარგარეთის ქვეყნების მეთაურების მიღება, წვეულებების მოწყობა, საზეიმო ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოება და სხვა.**

**მომავალი პრეზიდენტის ფუნქციები გაცილებით შეზღუდულია, მაგრამ არა სახელმწიფო პროტოკოლის დარგში. ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ მხოლოდ ფუნქციებით დახუნძლული პრეზიდენტი უნდა იყოს სასახლეში და არა ნაკლები ფუნქციების მატარებელი. პრეზიდენტის პროტოკოლური ფუნქციები არავის გაუუქმებია. ის, იარსებებს მანამ, ვიდრე იქნება სუსტი თუ ძლიერი პრეზიდენტი, ვიდრე ქვეყანა იქნება საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. დავუშვათ, საპარლამენტო სისტემამ არ გაამართლა და მოგვიხდა ისევ საპრეზიდენტო მმართველობაზე დაბრუნება - მაშინ რას ვიზამთ? ახალ სასახლეს ავაშენებთ?**

სასწავლო დაწესებულებად გადაკეთებული პრეზიდენტის სასახლე არც სასახლეს წაადგება და არც სასწავლო დაწესებულებას. დაინგრევა შენობა, გადაკეთებ-გადმოკეთებით და ამ საქმეში არცთუ მცირე თანხის ჩაყრით.

**„ნაროდნიკული“ მიდგომა ერთობ სერიოზული საქმისადმი ცუდის მომასწავლებელია, ისე, როგორც ბათუმის აშენებული ქართულ-ამერიკული ინსტიტუტის მაღალი შენობის სასტუმროდ გადაკეთება. ვინმემ იფიქრა, რა დაჯდება სასწავლო დაწესებულების სასტუმროდ გადაკეთება? ან ვის სჭირდება მსგავსი „მსხვერპლი“? თუ საერთოდ უარს არ ამბობს დღევანდელი ხელისუფლება ქართულ-ამერიკულ სასწავლებელზე, მაშინ რა საჭიროა მისი ადგილმდებარეობის, მით უმეტეს შენობის შეცვლა? ყოველივე ეს ხომ დიდ ფულთან არის დაკავშირებული?**

ათონელის ქუჩაზე, ერთობ ვიწროსა და პრეზიდენტის კორტეჟის, პრეზიდენტის სტუმრების ავტომანქანებისთვის შეუფერებელზე, ალბათ არავის უფიქრია. არ უფიქრიათ იმაზე, რომ ქუჩა სისტემატურად გადაიკეტება. არ უფიქრიათ იმაზე, რომ გაუსაძლისი ცხოვრებით გაბეზრებულ თბილისელებს გაურთულდებათ ათონელისა და მიმდებარე ქუჩებზე გადაადგილება. ამ თვალსაზრისით პრეზიდენტის არსებული სასახლე არავითარ პრობლემას არ ქმნის, რაც ნამდვილად არ არის უმნიშვნელო რამ.

**უარი ითქვას პრეზიდენტის სასახლეზე იმიტომ, რომ შენახვა ძვირი ჯდება, აბსურდია. მარტო, უცხოეთში უსაგნო ხეტიალისთვის გამოყოფილი ხარჯების შემცირება იქნებოდა საკმარისი სასახლის ხარჯების დასაფარავად.**

უარი ითქვას პრეზიდენტის სასახლეზე იმიტომ, რომ „შეწერილი“ ფულით არის აშენებული — აბსურდია. კიდევ უფრო დიდი აბსურდია — შენობაზე უარის თქმა იმიტომ, რომ ის სააკაშვილის ახირებული სურვილით არის აშენებული. შენობას არაფერი დაუშავებია.

პრეზიდენტის სასახლეში მოღვაწეობენ დადებითი თუ უარყოფითი, წარმატებული თუ წარუმატებელი, ხალხის საყვარელი თუ საძულველი პრეზიდენტები. პრეზიდენტი ბუში (უმცროსი) ვერაფრით იმსახურებს ამერიკელთა სიყვარულს, გარდა ამისა მის მიერ წამოწყებულმა ორმა ომმა, უმძიმესი შედეგები მოუტანა ამერიკას. დემოკრატ პრეზიდენტს, ობამას, ქართული აზროვნების მიხედვით, უარი უნდა ეთქვა „თეთრ სახლში“ შესვლაზე და ვაშინგტონის რომელიმე სახლში უნდა დაედო ბინა.

მაგრამ იქ სხვაგვარად აზროვნებენ. თუ რამეა გადმოსაღები აშშ-დან, სწორედ ეს არის — ტრადიციებისათვის პატივისცემა.

**სააკაშვილმა ააშენა პრეზიდენტის სასახლე. გაივლის წლები, სააკაშვილის სახელი დავიწყებას მიეცემა, მაგრამ სასახლე დარჩება და დარჩება იმ შემთხვევაში, როდესაც ის შეასრულებს სასახლის და არა სასწავლო ან სხვა სახის დაწესებულების ფუნქციებს.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



# ორხელისუფლებიანობამ მაგრად გვაბუქსავა, რას მოგვიტანს ერთხელისუფლებიანობა?

## ეკონომიკის ვარდნა კოჰაბიტაციისა და სააკაშვილის ბრალია!

**საქართველოში, ღვთის მადლით, როგორც იქნა, ორხელისუფლებიანობა დასრულდა. მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნების მარათონი გიორგი მარგველაშვილის მიერ ნაცების კარის ღია შტურმით დასრულდა, მისივე განმარტებით, მეოცნებეებისა და ნაცების ურთიერთთანაცხოვრების სიამტკბილობით აღსავსე ხანამ ისტორიაში გადაინაცვლა და ევროპული კოჰაბიტაციით პირდასუსხულმა ხალხმაც როგორღაც შვებით ამოისუნთქა. გაჩნდა იმედი იმისა, რომ საქართველოში ამის შემდეგ მაინც დამთავრდება პოლიტიკურ ძალთა გაჭიანურებული ძიძგილი, რაც მთავარია, სახელმწიფო მართვის სადავეებს ჩამოსცილდება ქვეყნის „მაოხრებელ გზირად“ მონათლული სააკაშვილი, რომელიც ამ სამარცხვინო „თანამშრომლობის“ პერიოდში შინ თუ გარეთ ხარაბუზასავით დაბზუოდა და ქვეყნის განვითარების პერსპექტივას შხამიანად გესლავდა.**

— გამოფხიზლდით, ხალხო! — მოგვიწოდებდა ხარაბუზა პრეზიდენტი, — ხომ ხედავთ, თქვენს მიერ მოყვანილ მთავრობას ზედმეტი ნებივრობისა და სიზულუქისგან, ლამის არის, ჩამოეძინა. ვიდრე ტახტზე დაბრძანდებოდა, დაპირებებს უხვად არიგებდა, მაგრამ მას შესრულება რომ უნდოდა, ეს კი დაავიწყდა. შედეგმაც არ დააყოვნა, ბიზნესი გაჩერდა, ინვესტიციები შეწყდა, ეკონომიკა, რომელიც ჩვენს ხელში ყოველწლიურად იზრდებოდა, ახლა კლებისკენ წავიდა. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ამას შევეგუებით, გულხელს დავიკრებთ და აშენებულ ქვეყანას მეოცნებეებს დავანგრევინებთ. ამას ვერავინ ეღირსება, საქართველო უკან აღარასოდეს დაბრუნდება!

ეჰ, ნაცების ნამუსს რა ვუთხარი, მით უფრო სააკაშვილისას, რომელსაც ნამუსის ნატამალიც არ გააჩნია, თორემ ქვეყნისა და ხალხისთვის მათ მიერ ნაკეთები დამაქცევარი საქმეების შემდეგ, ამის თქმას როგორ უნდა ბედავდნენ. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ამ ნათქვამის სიმართლეში, გადახედოს მათ მიერ დატოვებულ ქვეყანას და ხელმრუდე და ტვინნაღრძობი ნაცების „პატიოსნებაში“ უმალ დარწმუნდება. მათი „ნაღვაწის“ ჩამოთვლას რა ქაღალდი დაიტევს, ამიტომ მხოლოდ ზოგ რამეს შეგახსენებთ.

„საქსტატმა“ ჯერ კიდევ აგვისტოში, წლის პირველი ნახევრის მონაცემებზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ **2013 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 0,8 პროცენტით მოიკლო. როგორც ბოლო მონაცემებით ირკვევა, ქვეყანაში ამ მხრივ მდგომარეობა „სტაბილურია“ და საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპით, კვლავაც აუტსაიდერის როლში გვევლინება.**

მარტო ეს არ არის, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დემოკრატიის შუქურად მონათლული საქართველო პირველობას არავის უთმობს უმუშევრობის მაჩვენებლითაც. **პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თითქმის ყველგან უმუშევრობა 5-6 პროცენტის ფარგლებშია, ჩვენთან კი — სამჯერ მეტი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 15 პროცენტი იყო. შემცირდა თუ გაიზარდა ეს ციფრი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზს დავუჯერებთ, წელს ჩვენთან უმუშევრობის დონე, წინა წელთან შედარებით, 1,7 პროცენტით გაიზრდება და 16,7 პროცენტს მიაღწევს.**

ამ ვარაუდის ლოგიკური გაგრძელებაა მასობრივი შიმშილობა, რომელიც მასობრივი უმუშევრობის გარდუვალი პროდუქტია. თუ არა ნაცების ანტიეროვნული და მოღალატეობრივი პოლიტიკით, სხვა რით უნდა აიხსნას, რომ მათი მმართველობის პერიოდში **ქვეყანა იმპორტირებულ პროდუქტებზე 80 პროცენტით გახდა უცხოეთზე დამოკიდებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის ლამის ორი მესამედი აღმოჩნდა.** საოცარი ის გახლავთ, რომ ეს ამბავი თავად ნაცებსაც ეუცნაურათ და კითხვაც კი გაუჩნდათ: რანაირად ხდება, რომ ქვეყნის ეკონომიკას ყოველწლიურად 6-8 პროცენტით ვზრდიდით, მაგრამ ამ სიუხვემ ცალკეულ ოჯახებამდე ვერ მიაღწია და ხალხი დაგვემშაო?!

მაგრამ რასაც ვერ მიხვდნენ ნაცები, ამას იოლად მიხვდნენ ამომრჩევლები და წლეულს ოქტომბერში სააკაშვილსა და მის ერთგულ „გოშიებს“, როგორც იქნა, „ანგარიში ასწავლეს“. თუმცა გადარჩეული პრეზიდენტი იხტიბარს არ იტეხს, ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ „წარმატებული“ ქვეყანა დაგვიტოვა და ამ „წარმატებისთვის“ (ჩაფურტკნული სოფლის მეურნეობა, განადგურებული სამედიცინო მომსახურება, მასობრივი უმუშევრობა და შიმშილობა, დაცლილი სოფლები და ქალაქები, დაკარგული ტერიტორიები, უცხოეთში გადახვეწილი ქართველობა) პასუხისმგებლობა მთლიანად არჩევნებით მოსულ ხელისუფლებას დააკისროს.

საკუთარი ცოდვების სხვისთვის გადაბრალება ნაცებისთვის არახალი, კარგად აპრობირებული მამაძაღლობა რომ გახლავთ, ეს კარგად მოეხსენება ყველას, მით უფრო ეკონომიკის ექსპერტებს, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ **ეკონომიკის ვარდნა ქვეყანაში არ შეიძლება ავხსნათ ცალკერძ ახალი ხელისუფლების უნიათობით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშით, საქართველოში ეკონომიკის ვარდა დაიწყო არა წელს, როგორც ამას ნაცები განგაშით გვაუწყებენ, არამედ შარშან ზაფხულიდანვე. ასე რომ, ხელისუფლების შეცვლამდე ის უკვე ტენდენცია იყო.** სსფ-ის მონაცემებით, ეკონომიკის ზრდის წლევანდელი გეგმა არ შესრულდება, ხოლო მომავალ წელს ის მხოლოდ 5 პროცენტით გაიზრდება. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, მოელოდნენ, რომ წელს ქვეყანაში ეკონომიკის 6-პროცენტიანი ზრდა იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკაში არსებულმა პროცესებმა, კერძოდ, კოჰაბიტაციამ და პრეზიდენტის მხრიდან მუდმივად ხელშეშლამ, მიგვიყვანა იქამდე, რომ ეკონომიკა ასეთი მასშტაბით ვერ გაიზრდება.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყანაში ერთიანად იავარქმნილი სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, რასაც წლეულსვე გლეხობის შემოსავლების საგრძნობი ზრდა მოჰყვა. იმედის მომცემია რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში მომხდარი ფერიცვალება, იქაური ბაზრის გახსნა და ქართული პროდუქციის რეალიზაციისთვის პერსპექტივის გაჩენა, რასაც ახლო მომავალში უდავოდ ხელშესახები შედეგები ექნება.

არსებითია, რომ საქართველოში წლების მანძილზე დამკვიდრებული ეკონომიკური სისტემა იცვლება ახლით, რასაც თან ახლავს გარკვეული პერიოდი, როდესაც პროცესის ძირითადი მონაწილენი უნდა გადაეწყონ ახალ სისტემაზე. ამ სიახლემ, რა თქმა უნდა, ბიზნესწრეებში დიდი შფოთი გამოიწვია, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების კლება. ინვესტორისთვის მთავარი სამოტივაციო ფაქტორია სტაბილურობის განცდა, რომ მის მიერ დაბანდებულ თანხას საფრთხე არ დაემუქრება. მოქმედ ხელისუფლებას შეექმნა ილუზია, რომ მხოლოდ ივანიშვილის განცხადება — ბიზნესი თავისუფალია და მის საქმიანოაში ხელისუფლება აღარ ერევაო, — ეკონომიკის ზრდისთვის საკმარისი პირობა იქნებოდა. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ასეთი სტაბილურობის დამკვიდრება, რასაც ზედ დაერთო პრემიერის მორიგი განაცხადი პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე. ბიზნესმა ვერ გაიგო, ვის ხელში რჩებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება და რისკიან მოქმედებას დალოდება ამჯობინა!

ახალი ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილოა ბიზნესმენი თამაზ იაშვილი. **„ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, — ამბობს ის, — ერთადერთი, ცოცხებით აღარ დაგვდევენ და ეგ არის, სხვა მხრივ სასიკეთო არაფერი მომხდარა. რაც მთავარია, დაპირებული სამართლიანობა არ დამკვიდრებულა, ისევ ისინი ნებივრობენ ქვეყანაში, ვინც დაგვაწიოკა და მიწასთან გაგვასწორა. დღეს საქართველოში ბიზნესი მკვდარია. 300-400 ათასი ადამიანია, ვისაც ნაცებმა ქონება წაართვეს, ფაქტობრივად დააყაჩაღეს. ეს ის ადამიანები არიან, ვინც საქმეს აკეთებდა და ეკონომიკას ქმნიდა. ეს ხალხი დღეს გაკოტრებულია და ბიზნესი ვინ უნდა აკეთოს?“**

ამ კითხვაზე პასუხი არა აქვს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, რომელმაც ამ დღეებში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ **„არ ვიცი, როგორ უნდა დავაბრუნოთ წართმეული ქონება“**. უფრო ადრე პრემიერმა ივანიშვილმა კი თქვა, რომ თუ ქონებაჩამორთმეულთა ვალს სახელმწიფო თავის თავზე აიღებს, ეს ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულად დააზარალებს. ეს გასაგებია, მაგრამ ამ ვითარებაში რით ინუგეშონ თავი თავად დაზარალებულებმა?

ხელმოცარული ბიზნესმენები მთავრობას იმ დაპირებასაც შეახსენებენ, რაც მეოცნებეებმა ხელისუფლებაში მოსვლამდე ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენასთან დაკავშირებით გააკეთეს, მაგრამ გახელისუფლების შემდეგ დაივიწყეს და არ შეასრულეს. **ახლაც ყველას გვახსოვს, ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას ფარმაცევტული კომპანიების თავკაცებს რომ უსაყვედურა — წამლების სიძვირე ხელოვნურად არის გამოწვეული და მიხედეთო. ამას სწრაფი, თუმცა ხანმოკლე რეაგირება მოჰყვა, მაგრამ პროცესი მალევე შეჩერდა და ფარმაცევტულ ბაზარზე, ისევე როგორც სხვაგან, დარჩა იგივე თამაშის წესები და იგივე არაჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც საერთაშორისო წესებსა და ნორმებს არ შეესაბამება.**

ამ ყველაფრის მიუხედავად, ახალარჩეული პრეზიდენტის პროგრამაში, როგორც თავად განაცხადა, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა სწორედ ყოვლისმომცველი ეკონომიკის ზრდაა. პრიორიტეტები კი ასე გამოიყურება: ბიზნესისთვის სტაბილური გარემოს შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, ბაზრების გაფართოება, ქართული პროდუციის ექსპორტის წახალისება და სხვა უამრავი რამ, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას წაადგება. საინტერესოა, მარგველაშვილი როგორ აპირებს ამ დაპირებების შესრულებას?

დღესდღეობით ჯერ კიდევ მოქმედი პრემიერის მრჩეველ გია ხუხაშვილის აზრით, **„მთავარია სწორი ინსტიტუციური მიდგომა ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რომლის საფუძველთა საფუძველი ჯანსაღი კონკურენცია უნდა იყოს. ამ მიზნით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა უნდა ამუშავდეს, საინვესტიციო გარემოსთან მიმართებაში და პოლიტიკური რისკებიც აღარ უნდა არსებობდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საინვესტიციო ბუმს შეუძლია შექმნას დამატებითი ღირებულება, რაც საბოლოოდ ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის. ეს კი იმ ფონდებით მოხერხდება, რომელთა ფორმირება უკვე დასრულდა. მართალია, ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, მაგრამ გარკვეულწილად ეკონომიკურ სეგმენტში ხელ-ფეხი ეხსნება, რათა უფრო აქტიური იყოს, ვიდრე აქამდე. დღეს მთავარი გამოწვევა ეკონომიკაშია და, ვფიქრობ, ხელფეხგახსნილი ივანიშვილი ბევრად აქტიური იქნება. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტს ყველა „კოზირი“ აქვს იმისთვის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად წარმატებული იყოს“.**

ჰა ბურთი და ჰა მოედანიო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ხალხმა თავის არჩევანით გარედან შემოგდებული კოჰაბიტაცია უკუაგდო, ქვეყნის მაოხრებელი პრეზიდენტიც გზიდან როგორღაც „უმტკივნეულოდ“ ჩამოიცილა. ახლა კოალიციური მთავრობის ჯერია, როგორც ხალხში ამბობენ, ოცნებების სეზონი უკვე დაგვემშვიდობა და რეალურ საქმეთა კეთების დრო ჩამოდგა.

**ოთარ ხუციშვილი**

---

ალიან-ჩალიანი

# ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად შესაძლოა, ვალის აღება დაგვჭირდეს

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თემის კომენტირებისას ეკონომიკის ექსპერტმა ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა.**



**მისი თქმით, საგადასახადო შემოსავლების შემცირება ეკონომიკის ზრდის ტემპის კლებას უკავშირდება.**

**— საგადასახადო შემოსავლები გათვლილი იყო 6%-იან ზრდაზე, რეალურად ჩვენ გვაქვს 1,7%-იანი ზრდა, რაც წლის ბოლომდე შეიძლება მაქსიმუმ 2%-მდე გაიზარდოს. ეს ჩამორჩენა განაპირობა იმან, რომ ქვეყანაში უფრო ნაკლები ეკონომიკური აქტივობა იყო, ნაკლები ბიზნესგარიგება დაიდო და, შესაბამისად, ნაკლები თანხა შევიდა ბიუჯეტში. ამიტომაც მივიღეთ გეგმისგან ჩამორჩენა. რა თქმა უნდა, ეს კატასტროფა არ არის და ჩვენი რესურსი გაწვდება იმას, რომ კლების შედეგად წარმოქმნილი დეფიციტი დაბალანსდეს და ვალდებულებებს საფრთხე არ შეექმნას. თუმცა, არსებობს დეფიციტის აღმოფხვრის რამდენიმე გზა — შიდა და გარე ვალის აღება, რაიმე ობიექტის გაყიდვა ან პრივატიზაცია და სხვა არასაგადასახადო შემოსულობების ზრდა, — განაცხადა ლექვინაძემ.**

**მისი თქმით, ამ ეტაპზე ყველაზე რეალურია საგარეო ან საშინაო ვალის აღება, რის შედეგადაც ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად, საკრედიტო განაკვეთი იზრდება.**

**— არა მგონია, მთავრობა სეკვესტრის ნაბიჯზე წავიდეს. დანაკლისი ობიექტურია პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, რომელიც გვქონდა 2013 წლის მანძილზე. ეს ჩავარდნა და ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება კოჰაბიტაციის რეჟიმმა გამოიწვია, — აღნიშნა ლექვინაძემ.**

**ინტერპრესი**

№215. პარასკევი, 8 ნოემბერი, 2013 წელი.

# თბილისი — „ყაზტრანსგაზის“ საკონცენტრაციო ბანაკის გაზის უზარმაზარი საკანი?

**ნებისმიერ სფეროში მოღვაწე დიდი თუ მცირე კომპანია საკუთარი მოგების გაზრდას სხვადასხვა მეთოდით ცდილობს, რაც სავსებით სამართლიანია და საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა. ამ გზაზე „წითელი შუქი“ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აინთება ხოლმე, როცა გარკვეული ნაბიჯები მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებს სცილდება, დადგენილ ტექნოლოგიურ, გარემოსდაცვით, სანიტარიულ თუ ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შემცველ რაიმე სხვა საფრთხეს შეიცავს. თბილისის საკრებულოში რამდენიმე დღის წინათ ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარის, ქალბატონ გულიკო ზუმბაძის თავმჯდომარეობით გამართულ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, კომპეტენტური განსჯის საგანი სწორად ამ ტიპის საკითხი იყო. კერძოდ, საქმე ეხება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ ბუნებრივი გაზის მაგისტრალური სადენებიდან უშუალოდ რამდენიმე ათას აბონენტამდე ენერგოშემცველის ამ მიზნისთვის გამოუსადეგარი მილებით მიწოდებას, რასაც, შესაძლოა, ძალიან მძიმე, ადამიანთა არა მარტო ჯანმრთელობისთვის, არამედ სიცოცხლისთვისაც საფრთხის შექმნა მოყვეს.**

— ფრაქცია „თბილისელები“ აქტიურად მუშაობს კომპანია „ყაზტრანსგაზი — თბილისის“ მიერ რამდენიმე ათასი მომხმარებლისთვის პოლიეთილენის მილებით საცხოვრებელ სახლებში ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც, შესაძლოა, სახიფათო იყოს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვისაც კი, — აღნიშნა ქალბატონმა გულიკო ზუმბაძემ. — ამ თემასთან დაკავშირებით გამართულ პირველ სხდომაზე კომპანია „ყაზტრანსგაზმა“ წარმოადგინა 2009 წელს შედგენილი „მეწარმე სუბიექტის სტანდარტის“ დოკუმენტი (მისი მოქმედების ვადაა 2014 წლამდე), რომლის თანახმად თურქული კომპანია „ფირატის“ მიერ წარმოებული **მითითებული ტექნიკური ინდექსის პოლიეთილენის მილები ცივი და ცხელი წყლის, ასევე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება. არადა, თურქული ფირმა „ფირატის“ საიტზე არსებული ინფორმაციით, აღნიშნული სტანდარტის მილები მხოლოდ ცივი და ცხელი წყლისთვისაა გამოსაყენებელი, ხოლო გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით არანაირი მინიშნება არ არის. მეტიც: ბოლო დღეებამდე ამ კომპანიის საიტზე არც მილების გადაბმვის (ფიტინგების) შესახებ მოიპოვებოდა რაიმე ინფორმაცია, თუმცა, სულ ცინცხალი ცნობით, ეს გადაბმებიც მხოლოდ ცივი და ცხელი წყლის მოწოდებისთვისაა განკუთვნილი.**

ამ მოკლე შესავალი სიტყვით სხდომის თავმჯდომარემ კონკრეტულად ჩამოაყალიბა საკითხის არსი, რომელიც დამსწრეთა განსჯის საგანი გახდა, რომელთა შორის იყვნენ „ყაზტრანსგაზის“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახალხო დამცველის აპარატის, მერიის ზედამხედველობის სამსახურის, ასევე მასმედიის მიწვეული წარმომადგენლები და ექსპერტები.

კერძოდ, აღინიშნა, რომ, მართალია, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაში არ არის გაცემული პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად აალებადსაშიშია „ყაზტრანსგაზის“ მიერ გაზის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული ლითონპლასტიკის „TIG Firat“-ის მოდელის მილები, მაგრამ აღნიშნულია, რომ ისინი **„გაზის ტრანსპორტირების მიზანს არ შეესაბამება, ამიტომ მათი გამოყენება არ შეიძლება“.**

**„ჩვენს მიერ არაერთი სიტყვიერი და წერილობითი თხოვნის მიუხედავად, „ყაზტრანსგაზმა“ არ წარმოადგინა არც მილების, არც გადასაბმელი ფიტინგების შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც, არსებული წესის მიხედვით, თან უნდა ახლდეს შესყიდული პროდუქციის ყველა მოწოდებულ პარტიას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ნიმუშის იდენტურობის დადგენა დამტკიცებულ ნორმებთან“,** — ნათქვამია საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დასკვნაში.

დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტმა გიორგი ნიკოლეიშვილმა საფუძვლიანი ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ **დეტალური ინფორმაცია „ყაზტრანსგაზის“ მიერ გამოყენებული პლასტიკური მილების თაობაზე თურქელი კომპანიის საიტზე მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გაჩნდა** და დაინტერესდა, თუ რამდენად იცავს „ყაზტრანსგაზი“ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და არსებულ სტანდარტებს.

> კომპანიამ ხარჯის შესამცირებლად საფრთხეში ჩააგდო თბილისელების ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამის გასამართლებლად მან წარმოადგინა საექსპერტო დასკვნა, რომელშიც მხოლოდ ცივი და ცხელი წყლის მიწოდებისთვის განკუთვნილი მილების დახასიათებას ჩამატებული აქვს გაზის ტრანსპორტირების ფუნქცია. ამდენად, ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს დოკუმენტის გაყალბებასთან მომწოდებელი კომპანიის გვერდის ავლით.

ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის კითხვაზე მან პასუხად ასევე გამარტა, რომ ყოფილი მინისტრის ვერა ქობალიას ბრძანებით, **საქართველოს ტერიტორიაზე გაზგაყვანილობისთვის პოლიეთილენის მილების გამოყენება მიწის ქვეშ და მის ზემოთ, ასევე საცხოვრებელ კორპუსებში აკრძალულია. მაგრამ მექანიზმის მოშლის შედეგად, კომპანია „ყაზტრანსგაზმა“ თბილისი ლამის საკონცენტრაციო ბანაკის უზარმაზარ გაზის საკნად გადააქცია, რადგან მათი გამოყენება, დსთ-ს ქვეყნებში მოქმედი ნორმებით, მხოლოდ სამ სართულამდე ერთბინიან საცხოვრებელ სახლებშია დაშვებული, თბილისში კი ასეთი გაყვანილობა უამრავ მრავალსართულიან კორპუსშია.**



— გაურკვეველია, თუ როგორ შეიძლება რაიმე პროდუქციის სათანადო სერტიფიკატის გარეშე გამოყენება, მით უმეტეს, ისეთ საშიშ სფეროში, როგორიცაა გაზის ტრანსპორტირება. „ყაზტრანსგაზისგან“ კი მის წარმოდგენას ვერაფრით ვერ ვეღირსეთ, — განაცხადა ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა.

უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ცენტრალურ ხელისუფლებას სახალხო დამცველის აპარატმაც მიმართა, კერძოდ, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ საქმიანობაზე სათანადო ნებართვების გაცემისა და შესაბამისი კონტროლის დაწესების აუცილებლობაზე მიუთითა. ამისთვის საჭიროა მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რაზეც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენელთა ერთობლივი მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს.

გაზის სპეციალისტმა მურმან დანელიამ თავის მხრივ განმარტა, რომ უსაფრთხოების მოთხოვნების გადახედვის თაობაზე დიდი ხანია, ხელისუფლებას უშედეგოდ მიმართავენ, თუმცა კი უშედეგოდ. ამდენად, ფაქტობრივად, გამოდის, რომ გაზმომარაგების საკითხებში პრობლემური მხოლოდ მილების თემაა, თუმცა კი გარდა ამისა, უამრავი საკითხია, რომელთა გადაჭრაში აუცილებელია მთავრობის ჩარევა. საამისოდ საჭიროა გაზის ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის არსებობა. ხშირია შემთხვევები, როცა საქმეს არალიცენზირებული ფირმები და კერძო პირები აკეთებენ, რასაც უამრავი უბედური შემთხვევა მოყვა.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, საფრთხის თავიდან ასარიდებლად საჭიროა, მოსახლეობამ მათ წარმომადგენლებს გაზგაყვანილობის უსაფრთხოების ნორმების დაცვის საკითხის გადამოწმების საშუალება მისცეს, რადგან ამ შემთხვევაში უსაფრთხოება 99 პროცენტით უზრუნველყოფილი იქნება.

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ახლადდანიშნულმა სპეციალურმა მმართველმა ირაკლი გაბუნიამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ გაზგაყვანილობის მიზნით თურქული კომპანია „ფირატის“ პოლიეთილენის მილებისა და გადაბმების გამოყენების თაობაზე საექსპერტო დასკვნა კომპანიაში მხოლოდ წინა დღის მეორე ნახევარში გახდა ცნობილი, თუმცა კი ზოგადად აღნიშნა, რომ **2007 წლიდან მრავალშრიან ლითონპლასტიკის მილებს ევროპის მოწინავე ქვეყნებში უკვე ფართოდ იყენებენ, ვინაიდან მათი მთავარი ხიბლი ექსპლუატაციისას საიმედობა და, რა თქმა უნდა, ფასია.** ამან, ბუნებრივია, ყურადღება საქართველოშიც მიიპყრო, ამიტომ სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ 2008 წელს ამ ტიპის მილების მონტაჟისა და გადაბმის წესები დაამტკიცა. რამდენიმე წლის წინათ კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ მთავრობის დადგენილებით სპეციალური მმართველობის წესი შემოიღეს, რადგან ის ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო მნიშვნელოვანი დანაკარგების გამო, რის გამოც მოსახლეობის გაზმომარაგების საკითხი დიდი საფრთხის წინაშე დადგა. იმის გამო, რომ გაზმომარაგების ქსელის 80-90 პროცენტი ქვეყანაში გასული საუკუნის 60-იან წლებშია აშენებული, ცენტრალური მილსადენიდან უშუალოდ მოსახლეობამდე მიწოდების ლითონის მილები ამორტიზებულია, ისინი მწყობრიდან გამოდიოდა, იყო გაჟონვის მრავალი შემთხვევა, ხალხი გაზს მასობრივად იტაცებდა. აქედან გამომდინარე, კომპანიის წინაშე დადგა გაზმომარაგების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კომერციული დანაკარგების აღმოხვრის პრობლემა. ამიტომაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მკვებავი მილების ნეიტრალურ ტერიტორიაზე გამოყვანისა და მრიცხველების დაყენების თაობაზე. აღნიშნული ტიპის მილების გამოყენებაც სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო გადაწყდა. **„ამიტომაც განვიხილეთ რამდენიმე სახეობის მილის გამოყენების საკითხი, რომელთა შორის არჩევანის უპირატესობა მიწოდების სისწრაფემ, ფასმა და დამონტაჟების სიმარტივემ განაპირობა. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებზე პასუხისმგებლობას, ეს სხვა ორგანოს კომპეტანციაა, ჩვენ ამის ვალდებულება არა გვაქვს“,** — დასძინა ბატონმა გაბუნიამ.

აი, ეს გახლავთ მოკლედ საკრებულოს სხდომის ანგარიში, რის შემდეგ, მეც და მრავალ დამსწრესაც, ის აზრი დაგვრჩა, რომ გაზის ტრანსპორტირებისთვის მიზანშეუწონელი მილებისა და, შესაბამისად, მათი გადაბმების გამოყენება ორმა საკვანძო გარემოებამ — სიიაფემ და სისწრაფემ განაპირობა, რამაც, ცხადია, დანახარჯი მნიშვნელოვნად შეამცირა.

თავყრილობის შედეგები კი ქალბატონმა გულიკო ზუმბაძემ ექსკლუზიურ ინტერვიუში შეაჯამა:

— საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნება — თბილისელების“ წევრებმა დამოუკიდებლად მოძიებული დოკუმენტების, სამხარაულის სახელობის ბიუროსა და დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნების, ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის წერილის საფუძველზე დავასკვენით, რომ **მითითებული მახასიათებლების მქონე პოლიეთილენის მილებით და მათი გადასაბმელებით მოსახლეობისთვის გაზის მიწოდება არ შეიძლება,** — განაცხადა მან. — იმის გამო, რომ სათანადო კონტროლის მექანიზმები მოშლილია, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ ისარგებლა ამ გარემოებით, მიიღო საფრთხის შემცველი გადაწყვეტილება და მიმწოდებელი თურქული კომპანიის მიერ ამ მიზნისთვის არაღიარებული მილები გამოიყენა. ამდენად, დასკვნა ასეთია: **კომპანიამ ხარჯის შესამცირებლად საფრთხეში ჩააგდო თბილისელების ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამის გასამართლებლად მან წარმოადგინა საექსპერტო დასკვნა, რომელშიც მხოლოდ ცივი და ცხელი წყლის მიწოდებისთვის განკუთვნილი მილების დახასიათებას ჩამატებული აქვს გაზის ტრანსპორტირების ფუნქცია. ამდენად, ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს დოკუმენტის გაყალბებასთან მომწოდებელი კომპანიის გვერდის ავლით. იმის გამო, რომ ამ მილებით, არასრული ინფორმაციით, თბილისში გაზი დაახლოებით 10-12 ათას აბონენტს მიეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზეზით უბედური შემთხვევა ჯერჯერობით არ მომხდარა, ჩვენ ეს საკითხი წამოვწიეთ და საჯარო განხილვის საგნად ვაქციეთ.**



„ყაზტრანსგაზ-თბილისმა“, ფაქტობრივად, აღიარა, რომ სადღეისოდ ამ მილებით მოსახლეობისთვის გაზის მიწოდების სამუშაოები შეაჩერა და შემდგომში სხვა სახეობის მილების გამოყენებას აპირებს. უკვე გაყვანილებზე კი ჩვენ საქსტანდარტს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კონტროლის დაწესებას მოვითხოვთ, ამავე დროს, შესაბამის ორგანოებს ზემოაღნიშნული ნებართვის გაცემის სამართლებრივი მხარის შესწავლის თხოვნით მივმართავთ, ვინაიდან, ჩემი პირადი აზრით, საქმე გვაქვს დანაშაულთან.

**ოთარ ტურაბელიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „საქართველო რუსეთთან შეხების წერტილის გამოძებნას შეძლებს“

**საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვანო მაჭავარიანი იმის შესახებ, თუ რატომ არ წარმოადგენს რუსეთელებისთვის საფრთხეს საქართველოს ევროპასთან დაახლოება**



**საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დებიუტანტი იქნება საერთაშორისო არენაზე ვილნიუსში 28-29 ნოემბერს ევროკავშირის „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტზე. იგეგმება, რომ აქ მოხდება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება. სახელმწიფოს მეთაურმა თავის მთავარ მრჩევლად საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში დანიშნა იაპონიაში ყოფილი ელჩი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტის პროფესორი ვანო მაჭავარიანი.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალმა ჩინოვნიკმა ჩვენს გაზეთს უამბო, თუ ამიერიდან როგორი ყურადღება დაეთმობა რუსეთთან ურთიერთობებს.

**— რა სირთულეები შეიძლება წარმოიქმნას საქართველოსთან დაკავშირებით ევროინტეგრაციის გზაზე?**

— შესაძლებელია, რომ საკუთარი საშინაო პრობლემების საფუძველზე გაჩნდეს საკითხები ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივასთან დაკავშირებით თავად ევროპის სახელმწიფოებში. ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ამ მიმართულებით იქნება რუსეთის განწყობილება. ამასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ ჩვენი დაბალანსებული საგარეო-პოლიტიკური კურსი იქნება ეფექტიანი. ჩვენ მაქსიმალურად ვიყენებთ ურთიერთობებს საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა წავართვათ რუსეთს საფუძველი, ილაპარაკოს, რომ ევროპის დაახლოებას საქართველოსთან მოაქვს მოსკოვისთვის რაღაც საფრთხე. ამჟამად ბევრი ჩვენს ქვეყანაში შეშფოთებულია, რომ ვილნიუსის წინ უნდა ველოდოთ რუსეთის რაიმე პროვოკაციებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება მუშაობა ეროვნული უშიშროების ახალი საბჭოს ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ორიენტირებულია იმ მოქმედებებზე, რაც დაკავშირებულია არასასურველი მოვლენების განვითარებასთან. 2008 წლის ომი ნეგატიურად აისახა ორივე ქვეყანაზე. ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ, გამოვნახოთ რუსეთთან შეხების წერტილები. გასაგებია, რომ დიდია რუსეთის ამბიციები, მაგრამ XXI საუკუნეში პატივი უნდა ვცეთ სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტს.

**— ასეთ წერტილებს შორის შეიძლება იყოს ზრუნვა უშიშროებისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში?**

— მე თავს შევიკავებდი, მესაუბრა კონკრეტულ ამბებზე. ეს ყოველივე მოითხოვს კარგად დამუშავებასა და ღრმა ანალიზს. აჩქარებამ ამ შემთხვევაში შეიძლება ცუდი სამსახური გაგვიწიოს. ჩვენი ქვეყნები იცნობენ ერთმანეთს. მათს ურთიერთობებში იყო შეცდომებიც და დანაშაულობებიც. მაგრამ რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ ნდობის აღდგენა. კავშირურთიერთობანი იდეალური არ იქნება, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში ისინი უნდა იყოს მართვადი და არა ისეთ ფორმატში, როდესაც დიდი ქვეყანა ზემოქმედებას ახდენს პატარაზე.

**— რას უნდა ველოდოთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და რუსეთთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის მოლაპარაკებისგან?**

— როდესაც ორ ქვეყანას შორის არის ასეთი საერთო დაძაბული ფონი, რთულია, წარმოვიდგინოთ მოლაპარაკების პროცესი უპრობლემოდ. მასზე განსაკუთრებულად აისახა რუსეთის მხრიდან მავთულხლართების გაბმა ოკუპირებული სამხრეთი ოსეთის საზღვართან. ვფიქრობ, რომ მოლაპარაკების პროცესის განვითარება კარასინსა და აბაშიძეს შორის ამჟამად უფრო მეტად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ნებაზე რუსეთში — გამოიყენოს ეს არხი. მე ვხედავ მის შესაძლებლობებს, უწინარეს ყოვლისა, ცივილიზებული ბიზნესურთიერთობების მოწესრიგებისთვის და ერთობლივი პროექტების დამუშავებისთვის ვაჭრობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის დარგებში, აგრეთვე სოციალური, ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადაჭრისთვის.

**— ოთხშაბათს ჟენევაში დამთავრდა კავკასიაში უსაფრთხოების შესახებ დისკუსიის მორიგი, 25-ე რაუნდი, რაც 2008 წლის ომის შემდეგ მიმდინარეობს. რამდენად ეფექტიანია ეს მოედანი? რუსეთი იქ საქართველოს სთავაზობდა სამშვიდობო ხელშეკრულებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. საქართველო აცხადებდა, რომ ასეთი შეთანხმების ხელმოწერისთვის მზადაა მხოლოდ რუსეთთან.**

— ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს საერთაშორისო შუამავლების — ევროკავშირის, ეუთოს, გაეროსა და ამერიკის შეერთებული შტატების — მონაწილეობით. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი ცდილობს, შეავიწროვოს ჟენევის ფორმატი ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის პრობლემების განხილვამდე. ამას ხომ საერთაშორისო პარტნიორებიც ხედავენ. ეს არ არის სწორი. რუსეთს აქვს რესურსები, გახადოს ჟენევის შეხვედრები უფრო ქმედითი. არ ვფიქრობ, რომ ეს იქნება მალე, მაგრამ ეს თავად რუსეთის ინტერესებშიც შედის. მას ხომ ამერიკაც, ევროპაც რეგულარულად ახსენებენ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციის შესახებ. რუსეთი ცდილობს, გააფართოვოს ეს სიტუაცია, მაგრამ საკუთარი პირობებით.

**— დასავლეთში ხშირად აკრიტიკებენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას „შერჩევითი მართლმსაჯულების“ გამო წინა ჩინოვნიკებთან დაკავშირებით. არ გიშლით ეს თქვენ ხელს?**

— პირადად მიხეილ სააკაშვილის დამსახურება არის ის, რომ ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი მოუწოდებს საქართველოს, „არ გახდეს მეორე უკრაინა“, „არ დაკარგოს განვითარების ევროპული ვექტორი“. სააკაშვილი ვარაუდობს, რომ ეს მისთვის გარკვეულწილად არის საკუთარი უსაფრთხოების ერთგვარი გარანტია. ვფიქრობ, იგი მომავალშიც ეცდება, ისე ააგოს თავისი მოქმედება, რომ აკრიტიკებდნენ „ქართულ ოცნებას“, ნეგატიურად აფასებდნენ მის მუშაობას, და ეცადოს ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მოახდინოს მმართველი კოალიციის წარმატებების ნიველირება.

მაგრამ თავად მის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ გაჩნდნენ ლიდერები, რომლებსაც მხოლოდ მისი იმედი არ აქვთ. ეს ნიშნავს, რომ ამ პარტიაში შეეცდებიან, მოახდინონ სააკაშვილის ფიგურის ბალანსირება, გახადონ იგი რელევანტური.

ИЗВЕСТИЯ

# დედამიწის ზურგზე

## აშშ-ს მცხოვრებლებმა განაცხადეს კალიფორნიის თავზე მეტეორიტის გაფრენის შესახებ



**თვითმხილველები იტყობინებიან ცეცხლოვან ბურთზე, რომელმაც ელვისებურად გაიელვა ცაზე, შემდეგ აფეთქდა და ნაწილებად დაიშალა. მოწმეების სიტყვებით, ობიექტი უზარმაზარი ზომისა იყო. „ტვიტერში“ დავობენ, ხომ არ იყო ეს რუსული „სოიუზი“ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ეკიპაჟით და ოლიმპიური ჩირაღდნით ბორტზე.**

## რახმონი ხმების უდიდესი უმრავლესობით კვლავ აირჩიეს ტაჯიკეთის პრეზიდენტად



**წინასწარი მონაცემებით, მოქმედმა პრეზიდენტმა ამომრჩეველთა ხმების 83,6 პროცენტი მიიღო. ხელისუფლება, მეთვალყურეები და ჟურნალისტები შეფასებებში ერთმანეთს არ ეთანხმებიან — იყო თუ არა დარღვევები კენჭისყრის დროს. მიუხედავად ამისა, არჩევნების დღეს ქვეყანაში დაიკარგა შეღწევა Youtude -ში და ოპოზიციური ახალი ამბების გვერდში.**

## უკრაინა ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წინ წყვეტს საკითხებს გაზთან და ტიმოშენკოსთან დაკავშირებით



**ექსპრემიერის გათავისუფლება პატიმრობიდან — როგორც ცნობილია, საკვანძო მოთხოვნაა ევროკავშირის მხრიდან კიევთან მომავალი დაახლოებისთვის. უკრაინისთვის არანაკლებ აქტუალური პრობლემაა „გაზპრომისთვის“ ვალის სასწრაფო გადახდა 882 მილიონი დოლარის ოდენობით ჯერ კიდევ აგვისტოში მიწოდებული გაზისთვის.**

## სროლის ორი შემთხვევა აშშ-ში: დეტროიტში ორი კაცი მოკლეს, ვაშინგტონში - ცეცხლი გაუხსნეს ხალხს გაჩერებაზე




**დეტროიტში მამაკაცმა გაუხსნა ცეცხლი საპარიკმახეროს. როდესაც იქ მყოფმა ადამიანებმა დაიწყეს ქუჩაში გამოსვლა, დამნაშავემ მათაც ესროლა. ორი დაიღუპა, კიდევ შვიდი დაიჭრა. ვაშინგტონში კი ოთხშაბათს უცნობმა პირმა დღისით, მზისით გაუხსნა ცეცხლი პისტოლეტიდან ადამიანებს, რომლებიც ავტობუსის გაჩერებაზე იყვნენ. ოთხი კაცი დაიჭრა.**

# „შესანიშნავი შვიდეული“



# უცნობი პუტინი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 213-214

ვაშინგტონი და ბერლინი შეთანხმდნენ, არ გამოეთქვათ საკუთარი ეჭვები საჯაროდ. ამერიკელების რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სააკაშვილისა და ბუშის მარტის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ანგელა მერკელი მოსკოვში ჩავიდა და პუტინთან გვერდიგვერდ დაამსხვრია საქართველოსა და უკრაინის იმედები ნატოს წევრობაზე.

**მერკელი სულაც არ იყო ვ. პუტინის თაყვანისმცემელთა კლუბის წევრი, თუმცა, ეთანხმებოდა იმაში, რომ თუკი საქართველო და უკრაინა ნატოში შესვლის პროცესს შეუდგებოდნენ, ეს მკვეთრად გაამწვავებდა რუსეთთან ურთიერთობებს.** ერთობლივ პრესკონფერენციაზე მოსკოვში ვ. პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა ნატოს წინააღმდეგია: **„საბოლოო ჯამში ყველა ქვეყანა თავად წყვეტს, როგორ უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ ქართველი და უკრაინელი ხალხის არჩევანს, მაგრამ ეს სწორედ ხალხის არჩევანი უნდა იყოს და არა პოლიტიკური ელიტისა“.**

მერკელი დაეთანხმა, რომ **„მნიშვნელოვანია, ნატოს მომავალი წევრების საზოგადოება მხარს უჭერდეს ნატოში შესვლის იდეას“ და დაამატა: „ნატოში შემსვლელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა კონფლიქტების არარსებობა. სწორედ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ ბუქარესტის სამიტზე“.**

ორი დღის შემდეგ ბერლინში მერკელმა გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობას მიმართა და კვლავ საჯაროდ გამოთქვა საკუთარი ეჭვები: **„მე მართლაც მიმაჩნია, რომ რეგიონულ და შიდა კონფლიქტებში გახლართული სახელმწიფოები არ შეიძლება ნატოში შედიოდნენ. ჩვენ ვართ საერთო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნილი კავშირი და არა კავშირი, რომელშიც ცალკეული წევრები საკუთარი უსაფრთხოებისკენ ისწრაფვიან“.**

დეიმონ უილსონის სიტყვებით, პრეზიდენტი ბუში მიხვდა, რომ მას პირადად და „პრივატულად“ მოუწევდა მუშაობა მერკელთან, რათა აზრი შეეცვლევინებინა. „მან ჩათვალა, რომ საკვანძო რგოლი სწორედ კანცლერია და, თუ მას დაიყოლიებდა, საკითხის გადაწყვეტასაც მიაღწევდა“. ბუქარესტის სამიტის მზადებისას ბუშმა და მერკელმა რამდენიმე ვიდეოკონფერენცია გამართეს. **„საკვირველია, მაგრამ საკმარისი იყო, მერკელის შეშფოთების მოსმენა, რომ ნათელი გამხდარიყო, თუ რამდენად ახლოს იყო იგი ბუშის შეშფოთებასთან. უკრაინა გვაწუხებდა უთანხმოებით მთავრობაში და ნატოს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით ხალხში. საქართველოში ეჭვს იწვევდა დემოკრატიული ინსტიტუტების სიღრმე და საიმედოობა“.**

განსხვავება შემდგომი ნაბიჯების მიმართ დამოკიდებულებაში იყო. ბუშს მიაჩნდა, რომ საქართველოსთვის მაპის მიცემა სააკაშვილს აიძულებდა „საშინაო დავალების“ შესრულებას, ხოლო მერკელი პროცესის დაწყების მიმართაც კი სკეპტიკური იყო. მას არ სჯეროდა, რომ სააკაშვილი დემოკრატია, — იხსენებს დეიმონ უილსონი.

ბოლო ვიდეოკონფერენციაზე მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ბუშისთვის არამყარი დემოკრატიის მხარდაჭერა პრინციპის საქმე იყო და მან განაცხადა, რომ ბუქარესტში ეცდება, თავისას მიაღწიოს. ბუშმა დახმარებისთვის სხვა მოკავშირეებს მიმართა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა ამერიკულ პოზიციას მხარი დაუჭირა, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის სულ სხვაგვარი რეაქცია ჰქონდა. გამოხმაურებამ, რომელიც ამერიკელებმა სარკოზის მრჩევლებისგან მოისმინეს, ისინი დააფრთხო, ბუშის უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი იგონებდა, რომ **„ბევრ მათგანს იმისაც კი არ სჯეროდა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა და მით უფრო ეჭვობდნენ, რომ ნატოში მის წევრობაზე მსჯელობა საერთოდ თუ უნდა გამართულიყო“.**

ბუშმა პირდაპირ მიმართა სარკოზის იმ იმედით, რომ მასზე ზეგავლენას შეძლებდა. იგი უხსნიდა, რომ „საქართველო და უკრაინა ევროპისა და ატლანტიკისკენ ისწრაფვიან“. სარკოზი კი ბუშს სთავაზობდა, დაფიქრებულიყო რუსეთზე. საფრანგეთის პრეზიდენტის დიპლომატიური მრჩევლის ჟან-დავიდ ლევიტის, სიტყვებით, **„სარკოზი ცდილობდა, მიეხვედრებინა, რომ ამ სიტუაციაში ჩვენ გერმანიის მხარეზე ვიყავით. ჩვენი მიდგომის მიზანი იყო, მიგვეცა რუსეთისთვის დრო, რათა იგი მიმხვდარიყო, რომ მისი მომავალი ევროპის მომავალს უკავშირდება და მისი უსაფრთხოება კი არ უნდა გვთიშავდეს, არამედ უნდა გვაერთიანებდეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მაპთან დაკავშირებით არ უნდა ავჩქარებულიყავით, მაგრამ ამასთანავე დადებითი სიგნალი უნდა მიგვეცა ჩვენი ქართველი და უკრაინელი პარტნიორებისთვის ბუქარესტში“.**

სარკოზიმ მოძებნა ახალი ეფექტური ხერხი, რათა ამერიკის პრეზიდენტისთვის აეხსნა, თუ რას ნიშნავს ნატოს წევრობა უკრაინისა და საქართველოსთვის. მაპი ეს არის „ღია კარში შედგმული ფეხი“, ანუ შეუქცევადი ნაბიჯი, რომელიც ნატოს სრულუფლებიანი წევრობით დასრულდება და მაშინ შეთანხმების მეხუთე პარაგრაფზე მოგვიწევს დაფიქრება, რომელიც ერთობლივ თავდაცვას ეძღვნება. **„რა რაოდენობით ჯარის გაგზავნა შეგვიძლია დასახმარებლად ჩვენს ახალ წევრებზე თავდასხმის შემთხვევაში?** — ჰკითხა სარკოზიმ ბუშს. აი, რატომ ანიჭებდა საფრანგეთი პრიორიტეტს რუსეთთან პარტნიორობას **„რათა კონტინენტზე ყველანი უსაფრთხოების ერთნაირ შეხედულებებს იზიარებდნენ“.**




ეჭვები თავად აშშ-ის ადმინისტრაციაშიც გამოითქმოდა. თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი და სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გარკვეულწილად იზიარებდნენ ევროპელების შეშფოთებას ქართულ და უკრაინულ დემოკრატიასთან დაკავშირებით. გეიტსი იხსენებს: **„ვფიქრობდი, რომ, რეფორმების განვითარების თვალსაზრისით, ამ ორ ქვეყანას კიდევ ჰქონდა გზა გასავლელი“.**

მაგრამ იმ დღეს „თავისუფლების პოლიტიკის“ მომხრეებმა გაიმარჯვეს. „აშშ-ს რომ ფიასკო განეცადა და მაპი არ მიეცათ, თავად ეს მოვლენა იქცეოდა პროვოკაციად, რუსეთს აფიქრებინებდა, რომ მას მუდამ შეეძლებოდა საქართველოსა და უკრაინას ნატოში გაწევრებისთვის ხელის შეშლა. ეს კი ევროპაში სტაბილურობას კი არა, დაძაბულობის ზრდას შეუწყობდა ხელს“, — იხსენებს მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში — სტივენ ჰედლი.

ბუქარესტის სამიტი 2-4 აპრილს რუმინეთის ყოფილ დიქტატორ ჩაუშესკუს პომპეზურ სასახლეში ისეთივე მწვავე ვითარებაში ჩატარდა, როგორც ყველა სამიტი ნატოს ისტორიაში. **ამერიკელებმა და აღმოსავლეთ ევროპელებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოსა და უკრაინას, არადიპლომატიურად ისროლეს ტალახი, ხოლო ფრანგებმა და გერმანელებმა აღმოაჩინეს, რომ მათ ბრალს სდებენ რუსეთისათვის „თავის მოქონვაში“.** პირველ დღეს ვახშამზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა დისკუსია გამართეს, მაგრამ ვერც კი მიუახლოვდნენ რეზოლუციას, რომელსაც სამიტი მხარს დაუჭერდა. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ განაცხადა, რომ მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს „ზოგიერთმა მოკავშირემ“ (მხედველობაში გერმანია ჰყავდა) რუსების წინაშე ვალდებულებები აიღო — არ დაეშვას, რომ საქართველომ და უკრაინამ მაპი მიიღოს.

კონდოლიზა რაისმა აღიარა: მას ეჩვენებოდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას ცოტა დააკლდა, არ ეთქვა გერმანელებისთვის, რომ ვინ — ვინ და ისინი არ უნდა გადაეღობონ გზაზე იმ ხალხებს, რომლებიც 1930-1940-იან წლებში გერმანიის ქმედებების გამო ტირანიისგან დაზარალდნენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანგ-ვალტერ შტაინმაიერი, უბრალოდ, შეურაცხყოფილი იყო. იგი ცდილობდა, აეხსნა, რომ კავკასიის რეგიონში კონფლიქტური სიტუაციაა, რომელშიც ჩათრევის რისკის წინაშე დგას ნატო. მისი სიტყვებით, „ისეთი რამ გამოითქმებოდა, რომელიც მერჩივნა, არასოდეს გამეგონა; ნატოს გაფართოების მოწინააღმდეგეებს ადარებდნენ იმ პირებს, რომლებიც 1938 წელს მიუნხენში შეიკრიბნენ. ეს აბსოლუტურად არაკორექტული იყო“.

**ნატოს ლიდერების პლენარული სხდომა დილის 9 საათზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ამერიკელებმა პრობლემის მოგვარება მანამდე, საუზმისას სცადეს ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, აგრეთვე პოლონეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებთან ერთად. დეიმონ უილსონი აღიარებს, რომ დამხმარე ძალის გამოძახების მიზეზი ჰქონდათ: „ჩვენ გადავწყვიტეთ რუმინეთის, როგორც მასპინძელი ქვეყნის, და პოლონეთის, როგორც ნატოს გავლენიანი წევრის, მიწვევა. ეს ორი ქვეყანა ჩვენს პოზიციას უჭერდა მხარს“.**

ჟან-დავიდ ლევიტი, საფრანგეთის მთავრობის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, იხსენებს: „ღამის პირველ საათზე დამირეკეს, მერე — სამ საათზე, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სწორად გავიგე, სად და რა დროს უნდა მივსულიყავი საუზმეზე“, მაგრამ მეგობრული საუზმის ნაცვლად რაღაც ტრიბუნალის მსგავსი რამ გაიმართა. სახელდახელოდ შედგა ტექსტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით ნატოს „ინტენსიურ გაფართოებას“ და, ასევე, პროგრესის კიდევ ერთ შეფასებას დეკემბერში.

როდესაც საერთო სხდომამდე 9 საათზე ეს ტექსტი დარიგდა, ზოგიერთი აღმოსავლეთევროპელი ლიდერის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, ლიტვის, პოლონეთისა და რუმინეთის პრეზიდენტებმა ღიად მიანიშნეს, რომ ფორმულირებები ახლოსაც კი არ არის იმასთან, რასაც ისინი ელოდნენ. **„გაცოფებულნი იყვნენ,** — იხსენებს სტივენ ჰედლი, — **მათ მიიჩნიეს, რომ ეს დოკუმენტი რუსეთის მოთხოვნებისა და აკრძალვების წინაშე კაპიტულაციას წარმოადგენდა და მასში ცვლილებების შეტანას მოითხოვდნენ“.** ნატოში გადაწყვეტილებები საერთო თანხმობით მიიღება, მაგრამ, როდესაც ლიდერებმა მრგვალი მაგიდის გარშემო ადგილები დაიკავეს, მათ შორის თანხმობის ნასახიც არ იყო. კომპრომისის მისაღწევად ძალისხმევას არ იშურებდნენ. ჰოლის მძიმე დაპირების მიღმა საგარეო საქმეთა მინისტრები და მრჩევლები ჯგუფებად იკრიბებოდნენ და იმპროვიზებულ მოლაპარაკებებს მართავდნენ.

სტივენ ჰედლი ერთ-ერთ ინტერვიუში ასე აღწერს ვითარებას: **„საგარეო საქმეთა მინისტრებმა ოთახის სიღრმეში გადაინაცვლეს. ყველა ქაღალდა იყო და კოსტიუმში გამოწყობილი. შემდეგ ელეგანტურ ლაიმისფერ ჟაკეტში გამოწყობილი ანგელა მერკელი შეუერთდა ამ მამაკაცებს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამასობაში კოხტად გამოწყობილი კონდოლიზა რაისიც დაბრუნდა და მათთან მივიდა. და როგორ გგონიათ, რომელ ენაზე საუბრობდნენ? რა თქმა უნდა, რუსულად! ანგელამ რუსული აღმოსავლეთ გერმანიაში ისწავლა, კონდიმაც სტუდენტობიდან იცის“.**

სწორედ მერკელმა აიღო კალამი და ფურცელზე დაწერა ფრაზა, რომელიც ვითარების შეცვლის პირობას წარმოადგენდა: **„დღეს ჩვენ შევთანხმდით, რომ ოდესმე საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიან“.** მაპის არავითარი ხსენება — მხოლოდ მტკიცება, რომ ეს ორი ქვეყანა ნატოში შევა. მაშინ აღმოსავლეთ ევროპელებმა პროტესტი გამოთქვეს, რომ **„ოდესმე“ ნიშნავს „არასდროს“** და ეს სიტყვები წაშალეს. კონდოლიზა რაისი, რომელმაც რამდენიმე წუთით დატოვა მაგიდა, დაბრუნებისას სასიამოვნოდ გაოცდა: **„ფორმულირება ისე ჟღერდა, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები იქნებიან. მივიჩნიე, რომ ეს მშვენიერი გარიგება იყო და პრეზიდენტთან ვიჩქარე, რათა მეთქვა — „დათანხმდით“!**

როცა ვნებები ჩაცხრა და დოკუმენტი მიიღეს, გორდონ ბრაუნი ჯორჯ ბუშისკენ გადაიხარა და ეხუმრა: **„თვითონ არ ვიცი, რა ვქენით ახლა. მაპი რომ არ მიგვიცია, მახსოვს, მაგრამ არ ვარ დარმწუნებული, რომ ნატოში არ მივიღეთ“.**

ამ კომპრომისის შედეგები მოგვიანებით გამოჩნდა. ბუში და აღმოსავლეთ ევროპელები ბედნიერნი იყვნენ, რადგან საქართველოსა და უკრანას ნატოს წევრობას დაჰპირდნენ; მერკელი კმაყოფილი იყო იმით, რომ არსად აღუნიშნავთ, თუ როდის მოხდებოდა ეს; საქართველო და უკრაინა მთლიანობაში მოხარული იყვნენ, თუმცა გული სწყდებოდათ, რომ ნატოში გაწევრება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ანგუს როკსბორო: „ამ მოვლენების განვითარებისას ვფიქრობდი: განა უფრო იოლი არ იყო, ნატო სერიოზულად მოკიდებოდა ვ. პუტინის კითხვებს ორგანიზაციაში შესვლის შესახებ? განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა გადაწყვეტილებების რუსეთთან, საქართველოსთან და უკრაინასთან ერთად მიღება, ვიდრე კომპრომისების ძიება, რაც რუსეთის აზრის გათვალისწინებას ემსახურებოდა, ოღონდ იმ ფორმით, თითქოს რუსეთის აზრს არ ითვალისწინებენ?“

* * *

**2008 წლის იანვრის ვადამდელი არჩევნების წინ სააკაშვილმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სულ რამდენიმე თვეში დაბრუნების პირობა დადო. მან ცხინვალს „მორყეული კბილი“ უწოდა, რომელიც უნდა ამოიღო. კოსოვოს პრეცედენტმა და ბუქარესტის მოვლენებმა იგი ააჩქარა. შესაძლოა, მიაჩნდა, რომ „გაყინული კონფლიქტების“ გადაწყვეტა უნდა იჩქაროს, რაკი სწორედ მათ ასახელებდნენ ნატოში გაწევრების ძირითად წინაღობად.**

ბუქარესტის სამიტის დამთავრებიდან მეორე დღეს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი სააკაშვილთან თბილისში ვახშმობდა და იმდენად შეშფოთდა მოსალოდნელი საომარი მოქმედებების შესახებ სააკაშვილის გამონათქვამებით, რომ ამერიკელ კოლეგებს დაურეკა გასაფრთხილებლად. **ბუშმა სააკაშვილს დაურეკა: „ძვირფასო მეგობარო, მინდა გაიგოთ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დაგიჭერთ მხარს. დიახ, თქვენ სუვერენული სახელმწიფოს მეთაური ხართ და ჩვენ პატივს გცემთ, მაგრამ, თუ სამხედრო ძალის გამოყენების ინიცირებას მიმართავთ, აშშ-ის მხარდაჭერას ვერ მიიღებთ“.**

როგორც ჩანს, ვაშინგტონის მარტის შეხვედრიდან სააკაშვილი მცდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდა, თითქოს პრეზიდენტმა ბუშმა მას კონფლიქტური რეგიონების შემოერთების ნება დართო. **დეიმონ უილსონი კატეგორიულად უარყოფს ბუშის მიერ ნებისმიერი საომარი მოქმედების წახალისებას: „პრეზიდენტი უბრალოდ ვერ მოახერხებდა, უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა აზრი, რომ საომარი მოქმედება მიზანშეუწონელია. იგი დიპლომატიისკენ მოუწოდებდა და აფრთხილებდა, არ გადაებარებინა საკითხის გადაწყვეტა სამხედროებისთვის“.**

მაგრამ სააკაშვილმა დიპლომატიური გზის რწმენა დაკარგა. ბუქარესტის სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ განაცხადა, რომ „საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული გზა ნატოში სრულ ინტეგრაციაზე, საქართველოს საკუთარი ტერიტორიისა და მასზე მცხოვრები ადამიანების გაერთიანების უფლებას ართმევს“.

**(გაგრძელება იქნება)**

ვითარება

# სკანდალის კვალდაკვალ



**ამ დღეებში საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გამოაქვეყნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ფედერაციაში გაგზავნილი წერილი, რომელიც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მესვეურებმა ფედერაციის საქმიანობაში ჩარევად შეაფასეს.**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია ხელი შეუწყოს ქართულ საკალათბურთო სამყაროში არსებული დაძაბულობის განმუხტვას. ვინაიდან შექმნილი დაძაბულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად აღნიშნული ფედერაციის წესდება დასახელდა, სამინისტრომ წერილით მიმართა კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და შესთავაზა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც აქტიურად იმუშავებდა წესდების დახვეწაზე. სამუშაო ჯგუფის მიუკერძოებლობის გარანტად სამინისტრომ ეროვნულ ფედერაციას კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან ექსპერტის მოწვევა და სამუშაო ჯგუფში ქართული საკალათბურთო სამყაროდან ავტორიტეტული პირების ჩართვა შესთავაზა.

სამინისტროს ფუნქციებიდან და მოვალეობებიდან გამომდინარე, ეს შეთავაზება შეუძლებელია შეფასდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობაში ჩარევად.

სამინისტროს მთავარი მოვალეობა სპორტის სახეობების, მათ შორის კალათბურთის განვითარების მხარდაჭერაა, რისი ნათელი დადასტურებაც სამინისტროს მიერ დაფინანსებული არაერთი პროექტი და ღონისძიებაა.

სამწუხაროა, რომ სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც პრობლემის მოგვარებისკენ იყო მიმართული, ადეკვატურად არ იქნა აღქმული.

**სამინისტროს პრესცენტრი**

დადგინდა

# ყრილობა 11 დეკემბერს გაიმართება



**გუშინ გაიმართა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის სხდომა. გამგეობის წევრებმა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით იმსჯელეს და დაადგინეს, რომ ფედერაციის ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები ამა წლის 11 დეკემბერს გაიმართება.**

**ბექან დოლიძე**

კალათბურთი

# სხვათა ომების გმირები

**უკვე ტრადიციაც იქცა რომ ქართველი ლეგიონერები წამყვან როლებს ასრულებენ უცხოური კლუბების მონაწილეობით დადგმულ საკალათბურთო სპექტაკლებში. ასე მოხდა ამ დღეებშიც — ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრებმა თავი ისახელეს როგორც ოკეანის გაღმა, ისე „ძველ სამყაროში“ გამართულ მორიგ შეხვედრებში.**

**ნბა. რეგულარული სეზონი.** „მილუოკი“ — „კლივლენდი“ 109:104. მართალია, ზაზა ფაჩულია მასპინძელთა დებიუტანტია, მაგრამ უკვე მოასწრო ძირითად ცენტრად და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბება. „ჯვაროსანთა“ კაპიტანს ამჯერად ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე — 14 ქულა, 9 მოხსნა და 7 პასი.

**ევროპის თასის გათამაშება. ჯგუფური რაუნდი.** „სარაგოსა“ — „რომა“ 74:68. ესპანელთა გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენმა თანამემამულეებმა: გიორგი შერმადინი — 15 ქულა, ვიქტორ სანიკიძე — 12 ქულა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



მხილება

# წერილი უეფაში

**საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრებმა წერილი გაუგზავნეს უეფას აღმასრულებელ კომიტეტს. ეს საქმე გუშინ და დღეს არ დაწყებულა, კარგა ხანია მიმდინარეობს და თავად შეგიძლიათ გაეცნოთ:**



„ძვირფასო ბატონებო, გვსურს მოგახსენოთ იმ უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, რაც არსებობს საქართველოს ფუტსალის ასოციაციაში (სფა), რომელიც, თავის მხრივ, არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) წევრი. მით უმეტეს, უშუალოდ თქვენი გადაწყვეტილებით წელს სწორედ საქართველომ უმასპინძლა უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალს.

1. სფა-ს წესდება არ შეესაბამება ზემდგომი ორგანოს — სფფ-ს წესდებას, რაც აღიარებულია სფფ-ის მიერ, მაგრამ სფა-ს პრეზიდენტი ლევან ცქიტიშვილი უარს ამბობს წესდების შესაბამისობაში მოყვანაზე;

2. სფა-ს პრეზიდენტი წელიწადნახევარია უარს ამბობს გამგეობის სხდომების ჩატარებაზე;

3. სფა-ს პრეზიდენტი უარს ამბობს ყოველწლიური ყრილობების მოწვევაზე;

4. სფა-ს პრეზიდენტი არ გამოცხადდა სფა-ს წევრთა მიერ მოწვეულ საგანგებო ყრილობაზე და გამოაცხადა, რომ არ ცნობს სფა-ს წევრებს;

5. სფა-ს პრეზიდენტი ერთპიროვნულად განკარგავს ორგანიზაციის ფინანსებს და უარს ამბობს, ფინანსების განკარგვის საკითხი შეათანხმოს გამგეობასთან, რისი ვალდებულებაც კანონით მას აქვს;

6. სფა-ს პრეზიდენტმა გაასაიდუმლოვა ორგანიზაციის ბიუჯეტი და უარს ეუბნება გამგეობის წევრებს, გააცნოს ორგანიზაციის ბიუჯეტი;

7. სფა-ს პრეზიდენტი უარს ეუბნება სფფ-ს, წარუდგინოს ანგარიში იმ თანხების ხარჯებზე, რაც მას მიღებული აქვს სფფ-დან;

8. სფა-ს პრეზიდენტმა, ვიცე-პრეზიდენტმა და აღმასრულებელი კომიტეტის ერთმა წევრმა დააფუძნეს სფა-ს ალტერნატიული ორგანიზაცია და ცდილობენ ალტერნატიული ორგანიზაციის სასარგებლოდ მოახდინონ სფფ-ს მიერ აღიარებული სფა-ს დისკრედიტაცია.

სამწუხაროდ, სფფ არ ახდენს სათანადო რეაგირებას თავისივე სუბიექტის უკანონო ქმედებებზე. გთხოვთ, მოსთხოვოთ სფფ-ს შეასრულოს თავისი და უეფას წესდებით და რეგულაციებით ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული ვალდებულებები.

**პატივისცემით, სფა-ს გამგეობის წევრები: ლევან გრიგოლია, გიორგი დარჯანია.**

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# საოქმო ენით



**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. IV ტური. „ე“ ჯგუფი.** „ჩელსი“ — „შალკე“ 3:0, „ბაზელი“ — „სტიაუა“ 1:1.

„ჩელსი“ — 9, „შალკე“ — 6, „ბაზელი“ — 5, „სტიაუა“ — 2 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „ბორუსია“ — „არსენალი“ 0:1, „ნაპოლი“ — „მარსელი“ 3:2.

„არსენალი“, „ნაპოლი“ — 9-9, „ბორუსია“ — 6, „მარსელი“ — 0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ზენიტი“ — „პორტუ“ 1:1, „ატლეტიკო“ — „აუსტრია“ 4:0.



„ატლეტიკო“ — 12, „ზენიტი“ — 5, „პორტუ“ — 4, „აუსტრია“ — 1 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ — „მილანი“ 3:1, „აიაქსი“ — „სელტიკი“ 1:0.

„ბარსელონა“ — 10, „მილანი“ — 5, „აიაქსი“ — 4, „სელტიკი“ — 3 ქულა.

***ასე რომ, ფინიშამდე 2 ტურით ადრე პლეი-ოფში თამაშის უფლება ვადამდე გაინაღდეს ესპანურმა გრანდებმა „ატლეტიკომ“ და „ბარსელონამ“.***

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# პოდოლსკის ცოლს ექიმმა უღალატა

**ამჟამად ინგლისში ბურთის მგორებელი გერმანელის ლუკაშ პოდოლსკის ცოლმა მონიკა პუჩალსკიმ, როგორც იქნა აღიარა, რომ მისი სილამაზე და სხეულის თვალისმომჭრელი ფორმები უმეტესწილად პლასტიკური ქირურგიის თანამედროვე მიღწევების ნაყოფია.**

ჯერ კიდევ შარშან ერთ-ერთ გერმანულ სატელევიზიო შოუში მიწვეული მონიკა ყველას არწმუნებდა, რომ მისი მკერდის სინარნარე ბუნების მიერ იყო ბოძებული. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მრავლისმნახველმა გერმანელებმა პოდოლსკის ცოლს მაშინაც არ დაუჯერეს.

მონიკა პუჩალსკიმ თავისი „შერემონტებულობა“ მას შემდეგ აღიარა, რაც უკვე დამალვამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. მარტივად რომ ვთქვათ, იგი მედიასთან საკუთარმა ექიმმა „ჩაუშვა“.



**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ჭკიპურტები

# სათრევლები საბოლოოდ გადასათრევებზე

## ეჟვანი

იყო ნატანჯი, იყო ნაცემი,
მაინც დაამხო ხალხმა „ნაცები“,
რადგან ვინც თვლიდა, ზუსტად ვერ თვლიდა
შესაძლო ხეირს ღვინობისთვიდან.

დღეს რაც წკარუნობს, სხვა ეჟვანია
და უკვე ვხვდებით, ვისთვის სად რა ძევს,
ვინ რატომ მოკლა ზურაბ ჟვანია,
და რად გასწირეს გურამ შარაძე.

## დაბინძურებული საიტი

**ნაციონალების უწმაწური გინებით დაბინძურებულ საიტზე ერთ ღვთისნიერს კომენტარი მიუწერია: ხალხო, სკვითებთან შევუსახლებივართ და გვიმალავენო!**

როგორც კი ხალხმა ,,ნაცებთან“
ჩამოშორება ინება,
,,ნაცები“ იქცნენ ,,ბაცნებად“,
ბილწსიტყვობად და გინებად.
ვერ ხედავს ბრმათა ლაშქარი,
სიბნელეს უტევს საით მზე
და მათი მყრალი ნათქვამი
სიბინძურედ ძევს საიტზე.

## ეგერტი

საკაშვილისათვის ჯვარის დასმა ნაადრევიაო! –
უბრძანებია კონსტანტინ ეგერტს.
განა სიყვარულითა, –
ოქროთი და ფულითა
ჰყავდა მიშას ეგეთი
უამრავი ეგერტი.

## სენატორის ტაში

**სენატორმა ჯონ მაკკეინმა „ბინძურ ცოცხება“ მეგობარს, რომელსაც ადრე „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდა, ამჯერად ქართველი ვაშინგტონი შეარქვა**

არა მაკკეინმა, არა კისინჯერმა,
უკვე ბალღმაც იცის,
ჩვენს ხალხს ვისიც სჯერა.
და რა მაკკეინის განსჯის საგანია,
მიშა სუსტია, თუ მიშა მაგარია?
ეგებ შეანელონ ფაყვე ტაშის ტონი
და არ შეაწუხონ სული ვაშინგტონის?!

## ვინ დაუკავა?

მინისტრის სკამი ვინ დაუკავა
წინ და უკანა მხტუნავ კუკავას?

**ალექსანდრე შენგელია**

◉ პროტესტი

## თუ შვილს არ მიპოვიან, მთავრობის შეცვლას მოვითხოვ

**17 წლის დარეჯან დიასამიძის დედა ლამზირა მახარაძე აღნიშნავს, რომ გოგონას დაკარგვიდან ამ დრომდე სამართალდამცველებს მოზარდის გაუჩინარების შესახებ ვერსია არ აქვთ. ლამზირა დიასამიძე საქართველოს მოსახლეობას შვილის პოვნაში დახმარებას კიდევ ერთხელ სთხოვს.**

**— ახალი საერთოდ არაფერია. აჭარის მთავარ სამმართველოში მეუბნებიან ძიება მიმდინარეობსო. ვინც ადრე დაკითხეს, ხელმეორედ დაიბარეს დაკითხვაზე და სიახლე ვერ აღმოაჩინეს. ვფიქრობ, ელოდებიან, ბავშვი თავისით როდის გამოჩნდება. რა გავაკეთოთო, მეკითხებიან, ეს რომ ვიცოდე ,დასახმარებლად მათ კი არ მივმართავდი, — აღნიშნა ლამზირა დიასამიძემ.**

**დაკარგული გოგონას დედა აცხადებს, რომ თუ სამართალდამცველები მისი შვილის პოვნას ვერ შეძლებენ, ის მთავრობის შეცვლას მოითხოვს.**

**17 წლის დარეჯან დიასამიძე, 7 აგვისტოს, ბათუმთან ახლომდებარე სოფელ სამებიდან გაუჩინარდა.**

◉ მუსიკა

## „გალობანი სინანულისანი“

### კოლექციონერის ხსოვნას მიეძღვნა

**კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში პირველ ნოემბერს, თანამედროვე მუსიკის საღამოების ფესტივალის ფარგლებში, შესრულდა კომპოზიტორ თეიმურაზ ბაკურაძის „გალობანი სინანულისანი“ ფორტეპიანოსა და კინოეკრანისათვის.** ეს მუსიკალური კომპოზიცია მიეძღვნა ცნობილი კოლექციონერის, სათნოებით გამორჩეული ქალბატონის მარიამ ჭიჭინაძის ხსოვნას. მარიამს გენიალური კომპოზიტორების — ვერდის, ვაგნერის, დონიცეტის, პროკოფიევის, რაველის, ბახის და სხვათა ფირფიტების შესანატრი კოლექცია ჰქონდა და ყველა მსურველს, მომავალ მუსიკოსებს ასმენინებდა მათ.

კინოეკრანიდან ჟღერდა ოთარ ჩუბინიშვილის, კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიას და ბადურ დიაკვნიშვილის მუსიკა. საღამოს განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა ფორტეპიანოზე ნანა ხუბუტიას მიერ ვირტუოზულად შესრულებული ნაწარმოებები.

მსმენელი ორი საათის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა ამ საოცარ მუსიკალურ კომპოზიციას.

**ნანა კახელიშვილი**

◉ ინფორმაცია

## ზოოპარკში ვეფხვის სამი ბოკვერი დაიბადა



**როგორც თბილისის ზოოპარკიდან იტყობინებიან, ახალდაბადებული ვეფხვის ბოკვრები თავს კარგად გრძნობენ , რომელთა შორის 2 ხვადია, ერთი კი — ძუ.**

**ვეფხვის ბოკვრები ცალკე, დახურულ ვოლიერში მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.**

◉ სხვა გაზეთიდან

# აპოკალიფსი 2050 წელს დადგება?

### ჩინეთი მსოფლიოს სთავაზობს, შეზღუდონ... შობადობა!

**წყალი პლანეტაზე შეიძლება გათავდეს 17 წლის (!) შემდეგ, ნავთობი — 30 წლის შემდეგ, საკვები კი საჭირო იქნება ორჯერ მეტი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ბრალს სდებენ აფრიკის ღარიბ ქვეყნებსა და ინდოეთს, მოითხოვენ, ყველგან შემოიღონ „ჩინური კანონები“.**

**— საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევების ინსტიტუტის პროგნოზის თანახმად, 2050 წელს დედამიწის მოსახლეობა იქნება 9 მილიარდ 701 მილიონი კაცი! დაგვეთანხმეთ, ეს ფაქტობრივი კატასტროფაა. უკვე ამჟამად ადამიანებს ძლივს ჰყოფნის ბუნებრივი რესურსები. წლითიწლობით ძვირდება ბენზინი, წყალი და საკვები. ეკოლოგია სულ უფრო და უფრო უარესი ხდება, დნება ათასწლოვანი მყინვარები, ბინძურდება მდინარეები და ჰაერი. თუ მკაცრ ზომებს არ მივიღებთ, ჩვენი ბავშვები ამოიხრჩობიან სიმჭიდროვით პლანეტაზე, თითქოს მიწისქვეშა გადასასვლელში იმყოფებოდნენ პიკის საათში.**



### ხალხის ნახევარი უწყლოდ დარჩება

**56 წლის ვან ლიუნგი, პროფესორი ჩინეთის ქალაქ კუნმინიდან ჩვენთან ინტერვიუში არ ერიდება გამოთქვას თავისი აზრი მეტად ექსპრესიულად. ის შედის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამ ცოტა ხნის წინათ დაარსებულ ასოციაციაში „გადავარჩინოთ პლანეტა!“ ამ გაერთიანების მონაწილეები დარწმუნებული არიან, რომ უკვე დიდი ხანია საჭიროა შევზღუდოთ... დედამიწის მოსახლეობის უკონტროლო ზრდა. უფრო მეტიც, ჩინელი მეცნიერები დარწმუნებული არიან:** მსოფლიომ გადმოიღოს ცისქვეშეთის გამოცდილება, რომელმაც ისწავლა თავისი მოქალაქეების რიცხოვნობის შეჩერება. „ამ მომენტისთვის ჩინელები შეიძლება 5 მილიარდი ყოფილიყვნენ, — მიაჩნია ვან ლიუნგს. —მაგრამ პროგრამამ „ერთი ოჯახი — ერთი ბავშვი“, მკაცრმა ჯარიმებმა და პრეზერვატივების სიიაფემ საუცხოო შედეგი გამოიღო“. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მცხოვრებლებს აღიზიანებს, რომ მსოფლიო პრესა ხედავს საფრთხეს პლანეტისთვის მხოლოდ ჩინელთა ოდენობის გაზრდაში.

„ეს ჩვეულებრივი პროპაგანდაა, — ცხარობს ჰონკონგელი დემოგრაფი რიჩარდ ჩონი. — დიახ, ჩინეთის მოსახლეობა 1 მილიარდ 350 მილიონია, მაგრამ ზრდის ტემპები 0,49 პროცენტია — ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მსოფლიოში. სამაგიეროდ, ინდოეთში უკვე 1 მილიარდ 212 მილიონი კაცი ცხოვრობს და ბავშვები იბადებიან სამჯერ მეტი, ვიდრე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მაშ, ვინაა ჩვენგან უფრო სახიფათო? მსოფლიო ყურადღებას არ აქცევს აფრიკას, ეს კი ნამდვილი ბომბია საათის მექანიზმით. აფრიკის ქვეყნებში შობადობის ყველაზე მაღალი დონეა: ნიგერიაში ერთი ქალი საშუალოდ 8 (!) ბავშვს აჩენს. მალე ცხოვრება ჩვენ პლანეტაზე დაემგვანება გადატენილი ავტობუსით მგზავრობას. ხალხი უფრო დიდხანს ცოცხლობს, ჯანმრთელობის დაცვა უმჯობესდება, სერიოზული ომები დიდი ხანია აღარ ყოფილა. პარადოქსულია, მაგრამ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება დედამიწაზე ამავე დროს მის შესაძლო დაღუპვას ნიშნავს...“

გაეროს სტატისტიკით, დედამიწაზე 1 მილიარდი ადამიანი კვების ნაკლებობით იტანჯება. 2050 წლისთვის ყველას რომ ეყოს პროდუქტი, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოება 70 პროცენტით გაიზარდოს. ველური ბუნების ფონდი ადრე აცხადებდა: კაცობრიობის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად საჭიროა მოვახდინოთ დედამიწის მოცულობის ორი (!) პლანეტის კოლონიზირება, წინააღმდეგ შემთხვევაში მალე შიმშილობა დაიწყება. ადამიანთა უმრავლესობა (ასეთივე პრობლემაა ჩინეთშიც) ისწრაფვის იცხოვროს მეგაპოლისებში — მოიყვანონ ხილი და ბოსტნეული უკვე აღარავის შეეძლება.

წყლის მოხმარება იზრდება ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე დედამიწის მოსახლეობა. და ეს გაცილებით უფრო სერიოზული საკითხია, ვიდრე საკვების პრობლემა. გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის პროგნოზით, 2030 წლისთვის დედამიწის მცხოვრებთა ნახევარს დასალევი აღარაფერი ექნება: მოუწევთ ყოველწლიურად ხარჯონ 200 მილიარდი დოლარი ოკეანის წყლის გამტკნარებისთვის.

ნავთობთან და გაზთან დაკავშირებით ჯერჯერობით არც თუ ისე ცუდადაა საქმე, თუმცა, მათი მოხმარება უახლოესი ორმოცი წლის განმავლობაში ოთხჯერ გაიზრდება. არსებული ენერგორესურსები გვეყოფა 2047 წლამდე, თუ სათბობის ახალ სახეობას არ გამოიგონებენ. იგი კი ჯერჯერობით ვერ გამოუგონებიათ...

### ღარიბები ატომური ბომბით დაგვემუქრებიან

**— ჩინელებმა გაახმიანეს ის, რისი ხმამაღლა წარმოთქმისაც დანარჩენებს ეშინიათ, — გვარწმუნებს ეკოლოგი ავსტრალიიდან ოსტინ ლონგვეი. —ევროპასა და რუსეთში მოსახლეობა მცირდება, აფრიკასა და აზიაში კი იზრდება კოსმოსური სისწრაფით. შობადობის ამჟამინდელი ტემპებით, როგორც ეს ამერიკელმა დოქტორმა ჯეიმს მარტინმა დაიანგარიშა, 2100 წლისთვის პლანეტაზე 20 მილიარდი (!) კაცი იცხოვრებს.** მაგრამ მთავარი პრობლემა ადამიანთა რაოდენობა როდია. ღარიბ ქვეყნებში გაჩნდება დაახლოებით 10-ჯერ მეტი ბავშვი, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში. ეს შედეგად მიგვიყვანს იმასთან, რომ ღარიბი სახელმწიფოები მოითხოვენ თავიანთ წილ ბუნებრივ სიმდიდრეებს მთელი დარჩენილი მსოფლიოს დაშანტაჟებით. ჩრდილოეთი კორეა, რომელსაც უკვე აქვს ატომური ბომბი, უკვე ახლა იღებს სასურსათო დახმარებას. შემდგომ მესამე სამყაროს ბევრი პრეზიდენტი გაიგებს: ბირთვული მოწყობილობის არსებობა — არის იმის გარანტია, რომ შენს რესპუბლიკას გამოკვებავენ უფასოდ. მართლაც, დროა შემოვიღოთ კანონები ჩინეთის ნიმნულით, შევზღუდოთ შობადობა ცალკეულ ქვეყნებში. დაე, ამ მომენტში ეს გაისმოდეს წარმოუდგენლად და ფანტასტიურად, მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ გაერო შემოიღებს განსაკუთრებულ „საექიმო კონტინენტებს“ აფრიკასა და აზიაში მოსახლეობის ოდენობის საკონტროლოდ.

ჩინეთი დიდი ხანია, ამზადებს თავის თავს გლობალური ლიდერის როლისთვის. შავ აფრიკაში ექიმები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან უხვად უხდიან ფულს იმ ოჯახებს, რომლებმაც გადაწყვიტეს გაიარონ სტერილიზაცია, და არიგებენ პრეზერვატივებს. სავსებით შესაძლებელია, პროგრამის „ერთი ოჯახი — ერთი ბავშვი“ გავრცელების მცდელობა მთელ პლანეტაზე —არის ცისქვეშეთის ნაბიჯი მსოფლიო ბატონობისკენ.

თუმცა, სირთულეებს დედამიწის ჭარბი მოსახლეობის შემთხვევაში ეს არ აუქმებს. რუსეთის გარშემო (ვისი მოსახლეობაც კვლავ მცირდება) ბევრი ქვეყანაა, სადაც შობადობა იზრდება როგორც საფუარზე. ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში 44 მილიონი კაცი ცხოვრობს: 2050 წლისთვის, ალბათ, ეს რიცხვი გაორმაგდება. სუნთქვასაც ველარ შევძლებთ გასტარბაიტერებისაგან — მაგრამ, თურმე, ეს კიდევ არაა ზღვარი. თუ პროგნოზები გამართლდება და დადგება წყლის, სურსათისა და ენერგორესურსების გაყოფის დრო, წაგვლეკავს მშიერ ემიგრანტთა ტალღა. რამდენადაც შორეულად და აპოკალიფსურად არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს სცენარი, ამაზე ღირს დაფიქრება უკვე ახლა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება უკვე გვიანი იყოს.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### ოპტიმისტის აზრი

**ცნობილი დანიელი ეკოლოგი ლომბორგ ბიორნი მიიჩნევს, რომ პანიკა დედამიწის ჭარბი მოსახლეობისა და აპოკალიფსის შესახებ ერთგვარად გადაჭარბებულია. მისი აზრით:**

**1) ნავთობი და გაზი არასოდეს გათავდება, ვინაიდან მარაგის უმეტესობა დაუზვერავია.**

**2) 1949 წლიდან მსოფლიოში მოშიმშილეთა პროცენტი 45-დან 18 პროცენტამდე შემცირდა.**

**3) ტყის სივრცე მსოფლიოში გაიზარდა, ტყეების გაჩეხვის მიუხედავად.**

**4) გარემობუნების დაბინძურება უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აქტიურად ქვეითდება.**

**თუმცა, როგორც თავად ეკოლოგი აღნიშნავს ხაზგასმით, სიტუაცია ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეიცვალოს.**

## ჩვენი კარაბადინი

### ფრთხილად, საღეჭი რეზინია!



**საღეჭი რეზინის მოყვარულებს მეტი მიდრეკილებები აქვთ მაღალკალორიული ტკბილი პროდუქტებისადმი და რაციონში ამცირებენ ბოსტნეულისა და ხილის ოდენობას. საღეჭი რეზინი მენთოლის ხარჯზე ზემოქმედებას ახდენს გარკვეულ რეცეპტორებზე და ხდის მათ გემოს უსიამოვნოს, დაადგინეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.** მოწყობილი ექსპერიმენტების დროს, მოხალისეები ჯერ ღეჭავდნენ რეზინს, შემდეგ მათ შესთავაზეს კვების გარკვეული პროდუქტი. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ღეჭავდა პიტნის საღეჭ რეზინს, იშვიათად ირჩევდნენ ხილსა და ბოსტნეულს და უპირატესობას არაჯანსაღ საკვებს ანიჭებდნენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ასეთი შედეგი დაკავშირებულია მენთოლთან, რომელიც საღეჭ რეზინშია. ხილისა და ბოსტნეულის საკვებ ნივთიერებებთან ურთიერთმოქმედების დროს მას მივყავართ მწარე გემოს გაჩენასთან და ჯანსაღ საკვებს ხდის ისეთად, რომ იგი მიმზიდველი აღარაა.

### კრევეტები – სიბერის წინააღმდეგ

**კრევეტები ანელებენ დაბერების პროცესს. თურმე, პიგმენტი ასტაკსანტინი, რომელიც მოლუსკების თავებშია, 10-ჯერ უფრო აქტიურია ანტიოქსიდანტებზე, რაც ბოსტნეულსა და ხილშია და 500-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ვიტამინი E, რომელიც ცნობილია, როგორც ახალგაზრდობის გახანგრძლივების ძირითადი ვიტამინი.** კრევეტის პიგმენტს შეუძლია გააუმჯობესოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა, აგრეთვე ეფექტიანად აგვაცილოს თავიდან ინსულტისა და ჰიპერტონიის განვითარება. ამას გარდა, ეს შენაერთი იცავს ორგანიზმის უჯრედებს ვადამდელი სიბერისგან.

### მელოტია მაშასადამე, მთავარია!

**მელოტ მამაკაცებს აღიქვამენ, როგორც უფრო წარმატებულ ხელმძღვანელებად. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევრები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან (აშშ).**

**გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ლიდერის თვისებათა აღქმა მამაკაცში დამოკიდებულია მის იმ უნართან, რომელსაც არანაირი დამოკიდებულება არ აქვს ადამიანის უნართან.**

მეცნიერებმა მოაწყვეს სამი ექსპერიმენტი. პირველ მათგანში გამოკითხულებს სთავაზობდნენ, დაათვალიერონ ერთი ასაკის ერთნაირად ჩაცმული მამაკაცების ფოტოგრაფიები და განსაზღვრონ, თუ რომელ მათგანს აქვს ლიდერის უფრო მეტი თვისებები. გამოკითხვის შედეგებით აღმოჩნდა, რომ უმრავლესობამ ლიდერებად მიიჩნია მელოტი მამაკაცები. ორმა სხვა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მელოტი მამაკაცები ჩანან უფრო მაღლები და უფრო ძლიერები, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. ამავე დროს გამოკითხვების მონაწილეებს მელოტი მამაკაცები მოეჩვენათ ნაკლებად მიმზიდველები და თავის ასაკზე უფრო უფროსები.



### გაუმარჯოს სიესტას!

**დღის ძილი სასარგებლოა გულისთვის, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. ამის დადასტურებაა საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ჰარვარდის სამედიცინო სკოლის თანამშრომლებმა მოაწყვეს.**

როდესაც შეარჩიეს 20-დან 86 წლამდე ასაკის დაახლოებით 24 ათასი მოხალისე, რომლებსაც ექვსი წლის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს, მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილის რისკი დღისით წათვლემის მოყვარულთათვის მცირდებოდა 37 პროცენტით, თუ დღის ძილი იყოფოდა მინიმუმ სამ დღეზე კვირაში და მათი ხანგრძლივობა შეადგენდა სულ ცოტა 30 წუთს. ამგვარ ეფექტს მეცნიერები ხსნიან მარტივად: დღის ძილი ნაყოფიერ გავლენას ახდენს სტრესის ჰორმონების დონეზე, რომელთა სიჭარბეც დაკავშირებულია ინფარქტისა და ინსულტის გაზრდილ რისკთან.

**ინფორმაციას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლევან მაისაშვილი:**



— ღამის სრულფასოვანი ძილი იქმნება ძილის „ნელი“ და „სწრაფი“ ფაზების ოთხ-ხუთგზისი მორიგეობით, რაც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად სრულად „დამუშავდეს“ ქვეცნობიერების დონეზე დღის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაცია. სწორედ ამიტომ სრულფასოვანი ძილის შემდეგ ბევრი ჩვენგანი თავს გრძნობს საღად და დასვენებულად. ძილისა და სიფხიზლის მორიგეობის ასეთივე პროცესები, ოღონდ დაფარული ყოველდღიური აქტივობისგან, ხდება ჩვენს ორგანიზმში დღისით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დროდადრო სამუშაო დღის დროს ჩვენ მოულოდნელად „გვიტევს“ ძილქუში, მაგრამ, 20-30 წუთის წათვლემის შემდეგ, ჩვენ კვლავ ძალების მოზღვავებას ვგრძნობთ.

სხვათა შორის, იმ ქვეყნებში,სადაც დღის სადილისშემდგომი ძილი (სახელგანთქმული სიესტა) ტრადიციულია, გულ-სისხლძარღვთა დაავადების დონე მართლაც მნიშვნელოვნად დაბალია.

### სუსტი სქესი

**სიკვდილიანობის დონე ბიჭებს შორის დაბადებიდან ოც წლამდე თითქმის 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე გოგონებს შორის, დაიანგარიშეს მკვლევრებმა პენსილვანიის უნივერსიტეტიდან (აშშ). ეს შეეხება არა მხოლოდ დაღუპვას უბედური შემთხვევებისგან, არამედ ავადმყოფობებისგან.**

„გასაოცარია, რომ ბიჭების გარდაცვალების უფრო მაღალი დონე, ვიდრე გოგონების სიკვდილიანობის დონეა, შენარჩუნებულია ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაავადებათა ვრცელ სპექტრთან დამოკიდებულებაშიც“, — ამბობენ გამოკვლევის ავტორები. ასეთი ფენომენის საფუძველი შეიძლება იდოს სხვადასხვა ქრომოსომულ ნაკრებებში, მამაკაცებისა და ქალების ჰორმონებისგან განსხვავებით.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



#### ჭიაბერაშვილის შემცვლელად კანდელაკს განიხილავენ

**კახეთის** გუბერნატორის პოსტზე ზურაბ ჭიაბერაშვილის შემცვლელად პარტია „ქართული ოცნების“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრის უჩა კანდელაკის კანდიდატურა განიხილება. როგორც კანდელაკმა აღნიშნა, პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტზე მისი შესაძლო დანიშვნის თაობაზე კონსულტაციები უკვე იყო, თუმცა საკითხი საბოლოოდ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გადაწყდება.

**„ალია“**

#### გიული ალასანია შავი ზღვის უნივერსიტეტიდან მიდის

**პრეზიდენტი** მიხეილ სააკაშვილი შავი ზღვის უნივერსიტეტს ესტუმრა და აღნიშნა, რომ ამ უნივერსიტეტთან არანაირი ოჯახური კავშირი არა აქვს: „მინდა ვთქვა, რომ დედაჩემი მისი 5 სამუშაოდან, აქაც მუშაობს, თუმცა ამ სამსახურიდან მიდის. ასე რომ, ამასთან არავითარი ოჯახური კავშირი არა მაქვს“.

**„რეზონანსი“**

#### „ირაკლი ღარიბაშვილის სორბონის უნივერსიტეტის დიპლომი დაიდოს!“

— **მოითხოვს** გოგა ხაჩიძე, — ვინმემ არ იფიქროს, ასეთი ახირება მაქვს, თუ იფიქრებს და არც ეგაა დიდი პრობლემა. აბა, მიპასუხეთ, ისე — ინფორმაციის დონეზე, რა ვიცით ჩვენ ღარიბაშვილის განათლების შესახებ? ვიცით და ამის შესახებ ხშირად გაგვიმეორეს, რომ ღარიბაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამას ამბობენ ტელევიზიები, საინფორმაციო საშუალებები, პოლიტიკოსები. კიდევ ერთხელ, მარტივად რომ ვთქვათ. ჩვენ ვიცით, რომ ღარიბაშვილს (სორბონა) აქვს დამთავრებული. ვინაიდან პირადად მე, საფრანგეთში მიღებულ განათლებაზე და იქ აღებულ დიპლომებზე (ქ-ნი წულუკიანის შემთხვევიდან გამომდინარე) „კარგი გამოცდილება“ მაქვს. ნება მიბოძეთ ამ შემთხვევაში ვიკითხო: ნამდვილად დაამთავრა ირაკლი ღარიბაშვილმა სორბონის უნივერსიტეტი?!

იქნებ უბრალოდ ენის კურსი გაიარა?

სორბონის უნივერსიტეტის დიპლომი დადოს! დაიდება — ყველაფერი გასაგები იქნება!

**„ახალი თაობა“**

## კადრი




## ცინცხალი ანეკდოტები

**განცხადება:**

**ბატონებო, ჩვენს სახლში დამონტაჟდა ახალი, ეკონომკლასის, ანუ უუნიტაზო ლიფტი. ასე რომ, თქვენ-თქვენს ბინებამდე მოითმინეთ, კეთილძალლებო!**

* * *

**ამერიკის არმიის სერჟანტი თავის ჯარისკაცებს ესაუბრება:**

**— რუსებს ჰყავთ სამხედრო-სადესანტო ჯარები. ერთ იქაურს ორი ჩვენიანი თუ გაუმკლავდება. ეს კიდევ არაფერი. მათ ჰყავთ საზღვაო ქვეითები, სადაც ერთ იქაურს სამი ჩვენიანი ძლივს დააოკებს! მაგრამ, რაც ყველაზე საშინელებაა, მათ ჰყავთ ჯარები, სამშენებლო ბატალიონები ჰქვიათ — იქაურ მხეცებს იარაღსაც კი არ ურიგებენ!**



* * *

**— ვინ კითხულობდა „დიდუბის“ გაჩერებას? — ისმის ავტობუსში აღელვებული ხმა.**

**— მე!**

**— ახლახან გავიარეთ...**

* * *

**სანამ საცობში დგახარ, შენი ავტოს გაყიდვასაც მოასწრებ და სვეტაფორთან ახლოს მდგარი მანქანის შეძენასაც.**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24